საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№145 (9976) 2025 წლის 29 ოქტომბერი, ოთხშაბათი

ღალატის ანატომია

შალვა პაპუაშვილმა წარადგინა კონსტიტუციური სარჩელი, რომელშიც მოთხოვნილია

„ნაციონალური მოძრაობის“, „კოალიცია ცვლილებისთვის“ და „ძლიერი საქართველო-ლელოს“

საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობა და მათი აკრძალვა!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში ბრიფინგი გამართა ფრაქცია „ქართული ოცნების“, პოლიტიკური ჯგუფების, „ხალხის ძალის“ და „ევროპელი სოციალისტების“ წევრების ერთობლივ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია რამდენიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობა და მათი აკრძალვა.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნაა სამი პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა და აკრძალვა. პაპუაშვილის განმარტებით, პარტიების რეესტრში მითითებული მათი იურიდიული დასახელებებით, ეს პარტიებია: „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია გირჩი, დროა“, „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“. შალვა პაპუაშვილმა სარჩელის სამართლებრივ დასაბუთებაზე ისაუბრა.

იხ. 2-3 გვ.



5

აკადემიკოსი

ოთარ ლორთქიფანიძე – ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი მეცნიერი და მამულიშვილი



თბილისში ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა

12

სატანასთან თანამშრომლობა დამლუპველია!

იხ. 6-7 გვ.

1 წელი მაგთის 5G ქსელთან ერთად

7

მაგთიკომი
MAGTICOM

იხ. 4 გვ.

საქართველოს ხელისუფლებას ვაშინგტონში ივანიშვილის სანაცნობო წრე შუამავლობს?

დონალდ ტრამპი უკრაინის ერთადერთი იმედია...

იხ. 8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
უნდა აიკრძალოს!
№145. ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 2025 წელი

ლალიტის ანატომია

შალვა პაპუაშვილმა წარადგინა კონსტიტუციური სარჩელი, რომელშიც მოთხოვნილია

„ნაციონალური მოძრაობის“, „კოალიცია ცვლილებისთვის“ და „ძლიერი საქართველო-ლელოს“ საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობა და მათი აკრძალვა!

(პირველი გვერდიდან) „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი ამომრჩეველს დავპირდით, რომ ამომრჩევლების მხარდაჭერის შემთხვევაში უზრუნველვყოფდით „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ძირეული პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების პროცესის წარმართვას. 1 120 000-მა ამომრჩეველმა ამ დაპირების შესასრულებლად მოგვცა თავისი დემოკრატიული მანდატი.

ამ სახალხო მანდატის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის და 1 აპრილის დადგენილებებით შეიქმნა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“, რომელმაც 6-თვიანი მუშაობის პერიოდში პირდაპირ ეთერში გამართა 64 სხდომა, გამოიკითხა 139 პირი, შეისწავლა მოქალაქეებისგან 778 განცხადება. კომისიის თითქმის 500-გვერდიანი დასკვნის განხილვის საფუძველზე 2025 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება და გაიზიარა კომისიის მიგნებები. ამით საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური შეფასება მისცა „ნაციონალური მოძრაობის“ და სხვა დაკავშირებული პარტიების ქმედებებს 2003-2025 წლებში.

დღეს კი ვიწყებთ ჩვენი დაპირების სამართლებრივი ნაწილის შესრულებას. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიგნებების საფუძველზე ფრაქცია „ქართული ოცნების“, პოლიტიკური ჯგუფების, „ხალხის ძალისა“ და „ევროპელი სოციალისტების“ წევრები ერთობლივი კონსტიტუციური სარჩელით მივმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურად ცნობისა და მათი აკრძალვის მოთხოვნით.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, „რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

ამასთან, პოლიტიკური პარტიის საქმიანობა უშუალოდ და მჭიდროდ დაკავშირებულია თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის კონცეფციასთანაც, რომლიდან გამომდინარეც, დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის ისეთი საქმიანობა, რომელიც უგულებელყოფს დემოკრატიული სახელმწიფოს იდეას ან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს რომელიმე ფუძემდებლურ პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში სწორედ თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის კონცეფციაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანომ პოლიტიკური პარტიის მიერ დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველი პოლიტიკის გატარების რისკი სათანადოდ დაადასტურა, სახელმწიფო უფლებამოსილია, აღკვეთოს ასეთი პოლიტიკის გატარება.

ჩვენი ერთობლივი კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნილია რამდენიმე პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა და აკრძალვა. სხვა დარღვევებთან ერთად, მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები, პრაქტიკულად, უწყვეტ რეჟიმში უარყოფენ საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის როგორც საშინაო-პოლიტიკურ, ისე საგარეო-პოლიტიკურ ლეგიტიმაციას და, შესაბამისად, მის კონსტიტუციურობას. ამით აღნიშნული პარტიები აღიარებენ, რომ მათსა და მმართველ პარტიას შორის ერთ-ერთი მხარე უსათუოდ არაკონსტიტუციურად უნდა შეირაცხოს. ჩვენს სარჩელში წარმოდგენილია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ არაკონსტიტუციური მიზნები სწორედ ამ პოლიტიკურ პარტიებს ამოძრავებს.

სამართლებრივი დასაბუთება

კონსტიტუციური სარჩელი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ დარღვევებს:

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა

1. ადამიანის უფლებების ხელყოფა;

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების განუყოფელი ელემენტია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელთა სისტემური დარღვევა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ხელყოფაა. დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ასახული ფაქტებითა და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ადამიანის უფლებების ხელყოფა გასცილდა ერთეული შემთხვევების ფარგლებს და მიიღო სისტემური და სისტემატური ხასიათი, კერძოდ:

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა წამების პრაქტიკის დანერგვით, მკვლელობებისა და სხვაგვარი ძალადობის პრაქტიკის დანერგვით, პირთა უკანონო თვალთვალის, უკანონო მიყურადებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, აუდიო და ფოტომასალის უკანონოდ შექმნის, შენახვისა და გამოყენების პრაქტიკის დანერგვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საკუთრების ან სხვა უფლების ხელმყოფი პრაქტიკის დანერგვით, ქონების გამოძალვისა და საკუთრების უფლების ხელყოფის პრაქტიკის დანერგვით;

2. საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ორგანოების ლეგიტიმურობის აღიარებაზე უარის თქმა, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის მცდელობები.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩატარებიდან დღემდე საქართველოში შედგა 9 მორიგი საყოველთაო არჩევნები. აღნიშნული არჩევნების შედეგებისა და ამ არჩევნების გზით არჩეული ორგანოების ან თანამდებობის პირების ლეგიტიმურობის აღიარებაზე მთელი რიგ შემთხვევებში უარი თქვეს და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არაერთი საგოტაჟო აწარმოეს კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულმა არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს არჩევნები საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარდა.

1) 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შედგა ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლების არალეგიტიმურად გამოცხადების პირველი მცდელობა, როდესაც, არჩევნების არალეგიტიმურობის ყალბი საბაბით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნების მეორე ტურს მოიკოტიც კი გამოუცხადა. თუმცა მოგვიანებით ისინი შეუდგნენ საქართველოს პარლამენტში მანდატების გამოყენებას, რაც უტყუარად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა;

2) 2018 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ თაოსნობით მოქმედმა კოალიციამ უარი თქვა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების აღიარებაზე და სცადა ძალადობრივი მეთოდის გამოყენებით საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიის ჩაშლა;

3) 2019 წლის ივნისში „ნაციონალური მოძრაობა“ და მჭიდროდ დაკავშირებული სხვა პოლიტიკური პარტიები საქართველოს პარლამენტის სასახლის შტურმით აღებას შეეცადნენ;

4) 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა არალეგიტიმურად შერაცხეს, უარი თქვეს ახალარჩეული პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობაზე და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის შტურმით აღებას შეეცადნენ. თუმცა მოგვიანებით ისინი შეუდგნენ საქართველოს პარლამენტში მანდატების გამოყენებას, რაც უტყუარად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა;

უნდა აიკრძალოს!

5) 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა არალეგიტიმურ არჩევნებად შერაცხეს, სხვადასხვა ქალაქში საპროტესტო აქციები წამოიწყეს და ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა განაახლეს. თუმცა მოგვიანებით ისინი შეუდგნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მანდატების გამოყენებას, რაც უტყუარად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა;

6) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი გადალახეს, უარყვეს ამ არჩევნების შედეგები, უარი თქვეს პარლამენტის წევრის მანდატებზე და ახალარჩეული პარლამენტი არალეგიტიმურად გამოაცხადეს. მეტიც, არჩევნების შემდეგ არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი შეუწყეს და განახორციელეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა საქართველოს პარლამენტის სასახლეში ძალის გამოყენებით შეჭრას.

ზემოაღნიშნული ქმედებების პარალელურად და მათ გაგრძელებად, არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა 2022-2025 წლებში განახორციელეს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის რამდენიმე მცდელობა.

არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიების მიერ დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლების არალეგიტიმურად შერაცხვის პირველი მცდელობა 2016 წელს დაფიქსირდა, 2018 წლიდან ამ მცდელობამ – სისტემატური, ხოლო 2020 წლიდან კი სისტემური და უწყვეტი სახე შეიძინა. ამასთან, დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლების არალეგიტიმურად გამოცხადებას 2019-2025 წლებში ერთვოდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლის, მთლიანობაში, ექვსი უშუალო მცდელობა, რაც ადასტურებს, რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ მიმართული საქმიანობა, რომელსაც არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიები აწარმოებენ, ხანგრძლივი, სისტემატური, სისტემური და აქტუალურია, რაც დღეს ამ მიზნის აქტუალურობასაც უტყუარად ცხადყოფს.

ამრიგად, 2004-2012 წლებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები. ამასთანავე, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულმა ყველა არაკონსტიტუციურმა პარტიამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული დემოკრატიის არსი, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ორგანოებისა და თანამდებობის პირების ლეგიტიმურობის აღიარებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმასა და დემოკრატიის მიმართ აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამოვლენაში გამოიხატა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა

1. 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული მოვლენები

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ჩაიდინა არაერთი ქმედება და ამ მხრივ აშკარა არაკონსტიტუციური საქმიანობა განახორციელა, რამაც დააზიანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პერსპექტივა და ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და საოკუპაციო ძალის მიერ ოკუპაციასთან მიმართებით პოლიტიკური პოზიციების გამყარებას. კერძოდ, 2004-2008 წლებში, საომარ რიტორიკასა და კონფრონტაციულ ქმედებებთან ერთად, აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები:

2004 წელს ქალაქ ცხინვალის მიმართულებით შეიარაღებული დაპირისპირება განხორციელდა;

2006 წლის 28 სექტემბერს კოდორის ხეობას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეწოდა „ზემო აფხაზეთი“;

2006 წლის ნოემბერში საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში საქართველოს როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ჩაატარა ალტერნატიული არაკონსტიტუციური არჩევნები, სადაც აირჩა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი და მის დაქვემდებარებაში შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობა, რომლის წევრებიც მინისტრებად იწოდებოდნენ. ამით საქართველოს იმუამინდელმა ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში სეპარატისტულ არჩევნებს ირიმი ლეგიტიმაცია შესძინა, რაც საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ღია და უხეში ღალატი იყო;

2007 წელს საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნა დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და სამართლებრივად აღადგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1990 წელს გაუქმებული საზღვრები.

აღნიშნული ქმედებების კულმინაცია იყო 2008 წლის აგვისტო, როდესაც საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ძალის შესაჭრელად, რის შემდეგაც საქართველოს იმუამინდელმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციას, რომლითაც აღიარა საკუთარი ქმედებებით ესკალაციის ახალ, „ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე“ გადაყვანა, რუსეთის სამხედრო ინტერვენციას კი „საპასუხო იერიში“ უწოდა.

ამრიგად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2004 წლიდან გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად განახორციელა ქმედებები და ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, არამედ საოკუპაციო ძალის მიერ ოკუპაციასთან მიმართებით პოლიტიკური პოზიციების გამყარებასაც;

2. 2012 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ქმედებების ჩადენა 2012 წლის შემდეგაც განაგრძო, რაც უკვე მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა არაკონსტიტუციურ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად განახორციელა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პერსპექტივის დაზიანება და საქართველოსა და რუსეთს შორის აქტიური საომარი მოქმედებების გაჩაღების მცდელობა-ხელშეწყობა

2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის პირველივე წუთებიდან გამოვლინდა არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიების მიზანი და მცდელობა, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კონფლიქტი მაქსიმალურ ნიშნულამდე გაემწვავებინათ.



არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიები დღემდე ცდილობენ, საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარება გამწვავდეს იმავე ფორმითა და ხარისხით, რა ფორმითა და ხარისხითაც ამას 2008 წლის ომამდე „ნაციონალური მოძრაობა“ ახორციელდებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფაში უცხოური ძალისთვის ხელის შეწყობა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პერსპექტივის დაზიანებასა და საქართველოსა და რუსეთს შორის აქტიური საომარი მოქმედებების გაჩაღების მცდელობა-ხელშეწყობასთან ერთად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობა სხვა მიმართულებითაც ხორციელდება.

კერძოდ, ეს პოლიტიკური პარტიები ისწრაფვიან, სხვადასხვა საკითხთან მიმართებით უცხოეთიდან „დაისაჯოს“ საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს ხელისუფლება, რათა საქართველოს მოქალაქეებში უკმაყოფილება დაგროვდეს, ისინი მათ მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ და ეს პროცესები საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟის მექანიზმად და საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ბერკეტად იქნეს გამოყენებული. კერძოდ, ეს მცდელობები მოიცავს:

ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებისა და შენარჩუნების საკითხისთვის საზიანო ქმედებებს;

ევროპის კავშირში საქართველოს გაწევრების მიმართულებით ქვეყნისთვის ხელშემშლელ ქმედებებს;

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ხელისუფლებაზე უცხოეთიდან სისტემატურ საინფორმაციო თავდასხმებს, სანქციების დაწესების მცდელობებს და ამის ხელშეწყობას.

ამრიგად, 2004-2012 წლებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელყო საქართველოს დამოუკიდებლობა და მიზანმიმართულად შექმნა ნიადაგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად, ხოლო 2012 წლის შემდეგ ამ პოლიტიკურმა პარტიამ და სხვა არაკონსტიტუციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა განახორციელეს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მრავალი მცდელობა.

ზემოაღნიშნული გარემოებები, საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომების გათვალისწინებით, ერთობლივად ქმნის რამდენიმე არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიის აკრძალვის მყარ კონსტიტუციურ საფუძველს.

ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, პოლიტიკური პარტიის აკრძალვისთვის, მის არაკონსტიტუციურ იდეებსა და ქცევასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ პარტიას ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ რეალური საფრთხე შეუქმნას კონსტიტუციურ წყობილებას. ამ მხრივ განმსაზღვრელია პარტიის ზომა, სტრუქტურული ორგანიზება, პოლიტიკური გავლენა. ამიტომ, იმ პარტიების განსაზღვრისას, რომელთა აკრძალვასაც კონსტიტუციური სარჩელით ვითხოვთ, ვისარგებლეთ ორი მთავარი კრიტერიუმით:

რამდენად მყარია კონკრეტული პარტიის არაკონსტიტუციურობის სამართლებრივი დასაბუთება;

რამდენად უქმნის კონკრეტული არაკონსტიტუციური პარტია თავისი ზომით, ორგანიზაციული სტრუქტურით თუ პოლიტიკური გავლენით რეალურ საფრთხეს კონსტიტუციურ წყობილებას.

შესაბამისად, ჩვენი ერთობლივი კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნილია შემდეგი სამი პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა და აკრძალვა, რომლებმაც საერთო მისწრაფებებით მოქმედი კოალიციური ერთობა და ერთიანი ორგანიზმი შექმნეს და დღესაც ასე მოქმედებენ. ეს პარტიებია (პარტიების რეესტრში მითითებული მათი იურიდიული დასახელებებით):

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია, მელია, გირჩი, დროა“;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებულ პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდროდ დაკავშირებულია სხვა პოლიტიკური პარტიებიც, როგორებიცაა „ელენე ხოშტარია – დროა“ და „გირჩი – მეტი თავისუფლება“, რომლებიც, სინამდვილეში, „კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია, მელია, გირჩი, დროას“ შემადგენლობაში არიან, თუმცა, ფორმალურად, დამოუკიდებელ პარტიებადაც არიან რეგისტრირებული, აგრეთვე „კი ევროპას – სტრატეგია აღმაშენებელი“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ფედერალისტური პარტია“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და სხვა ფიქტიური, ერთკაციანი და მცირე პარტიები. თუმცა ვინაიდან მათ ამუამად, თავიანთი სიდიდით, ორგანიზაციული სტრუქტურით არსებითი გავლენა, მათ შორის, საარჩევნო ბარიერის გადალახვის რეალური პერსპექტივა არ გააჩნიათ, ამ ეტაპზე მათი აკრძალვის აუცილებლობა არ იკვეთება. მათი არაკონსტიტუციურობის საკითხი დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მოგვიანებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი პოლიტიკურ პროცესზე არსებით გავლენას შეიძენენ.

ზემოაღნიშნული პარტიების არაკონსტიტუციური მიზნების ერთიანობას ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

აღნიშნული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი პირები „ნაციონალური მოძრაობის“ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ იქნენ სხვადასხვა მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრებად, ეკავათ სხვადასხვა პარტიული თუ პოლიტიკური თანამდებობები;

აღნიშნული პოლიტიკური პარტიები წლების განმავლობაში თვისებრივად ერთნაირი პოზიციით წარმოჩინდებოდნენ, ქმნიდნენ საერთო მისწრაფებით მოქმედ კოალიციურ ერთობას და ერთიან ორგანიზმს და დღესაც ასე მოქმედებენ.

ამავე დროს, ჩვენი კონსტიტუციური სარჩელით მოთხოვნილი არ იქნება არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა, რაც, დღევანდელი მდგომარეობით, რელევანტური იქნებოდა მხოლოდ პარტია „ლელოს“ სახელით საკრებულოებში გასულ 59 წევრთან დაკავშირებით. ამით, უპირველეს ყოვლისა, გვსურს, პატივი ვცეთ მათ ამომრჩევლებს და, განსხვავებით თავად პარტია „ლელოსგან“, რომელმაც თავისი ამომრჩევლისგან მინიჭებულ საპარლამენტო მანდატების მიღებაზე უარი თქვა, საკრებულოებში შევინარჩუნოთ ამომრჩევლის მიერ გაცემული მანდატები.

ასევე, ჩვენი სარჩელი არ შეიცავს არაკონსტიტუციურ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის მოთხოვნას. როგორც იცით, დღეს კანონმდებლობით განსაზღვრულია მემკვიდრე პარტიის ინსტიტუტი, რომელიც იძლევა უფრო ფართო შესაძლებლობას აკრძალული პარტიების პერსონალური შემადგენლობის სამომავლო არაკონსტიტუციური პოლიტიკური საქმიანობის აღსაკვეთად“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

დიპლომატიური ძალისხმევა ამუშავდა

საქართველოს ხელისუფლებას ვაშინგტონში ივანიშვილის სანაცნობო წრე შუამავლობს?

ამერიკა საქართველოს უკრაინის ომის დამთავრების შემდეგ მოხედავს?!

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს შეერთებულ შტატებში ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებასა და გავლენის მოპოვებას, რისთვისაც სხვადასხვა არაფორმალურ არხსა და გავლენიან ბიზნესმენთა მხარდაჭერას იყენებს, ვაშინგტონში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ტალიაშვილი აქტიურად მუშაობს ამ მიზნის მისაღწევად და მნიშვნელოვან შეხვედრებს მართავს ამერიკელ კანონმდებლებთან.

ელჩი ტალიაშვილი შეხვდა აშშ-ის სენატის სახელმწიფო უშიშროებისა და სამთავროგო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეს, რესპუბლიკელ სენატორ რენდ პოლს, რომელიც ასევე სენატის საგარეო ურთიერთოგათა, ჯანმრთელოგის შრომისა და პენსიების, ასევე მცირე გიზნესისა და წარმოების კომიტეტების წევრია. შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს ცნოგით, შეხვედრის ფარგლებში, საუგარი შეეხო ქართულ-ამერიკული ურთიერთოგების განმტკიცების პერსპექტივებს. ასევე, განიხილეს რეგიონში განვითარებული მოვლენები, სამშვიდოგო ინიციატივების მნიშვნელოგა და საერთაშორისო ურთიერთოგების კონტექსტში არსებული აქტუალური საკითხები.

ეს შეხვედრა ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვან ნაგიჯს წარმოადგენს გავლენიან სენატორთან დიალოგის გასაღრმავებლად, რომლის კომპეტენცია მრავალმხრივია და მოიცავს როგორც საგარეო ურთიერთობებს, ისე უშიშროების საკითხებს.

რა სახის სიგნალი შეიძლებგა იყოს ეს შეხვედრა საქართველოსთვის? მაღალი რანგის რესპუგლიკელ სენატორთან დიალოგი, რომელიც მრავალი კომიტეტის წევრია, მიუთითებს საქართველოს ინტერესზე, გააძლიეროს კავშირები აშშ-ის „რესპუგლიკურ“ პარტიასთან და ხელი შეუწყოს ორმხრივი დღის წესრიგის წინსვლას.

პარალელურად, ცნობილი ხდება, რომ აშშ-ის „რესპუბლიკურ“ პარტიასთან დაახლოებული დონორი, ბოლო კვირების განმავლობაში, აქტიურად ლობირებდა კონგრესში იმ საკანონმდებლო აქტის წინააღმდეგ, რომელიც ზეწოლას მოახდენდა საქართველოს მმართველ პარტიაზე. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო Reuters-ი ავრცელებს.

ტეხასში მდებარე ნავთობკომპანიის აღმასრულებელმა პირმა და „რესპუბლიკელების“ დონორმა **სტივ ნიკანდროსმა** 30 სექტემბერს წერილი გაუგზავნა წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის „რესპუბლიკელ“ წევრებს, რომელშიც მათ მადლობას უხდის ამ საკანონმდებლო ინიციატივის მიმართ წინააღმდეგობისთვის. მისი წერილი, რომელსაც Reuters-ი გაეცნო, ასევე მოუწოდებდა კანონმდებლებს, რომ გადაედგათ დამატებითი ნაბიჯები ამ საკანონმდებლო აქტის საბოლოო მიღების საწინააღმდეგოდ.



სტივ ნიკანდროსი

სწორედ ნიკანდროსის – ამერიკელი გიზნესმენის გავლენით, შესაძლოა, მომხდარიყო ე.წ. „მეგოგარი აქტის“ ჩავარდნა.

ჯო უილსონმა, რომელიც ამ კანონპროექტის ინიციატორია, განაცხადა, რომ შეშფოთებულია ნიკანდროსის ძალისხმევით, ხელი შეუშალოს ამ კანონპროექტს. თავის წერილში ნიკანდროსმა, რომელიც ენერგეტიკული კომპანია TXN Energy-ის აღმასრულებელი დირექტორია, განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ დემოკრატიულად არის არჩეული და რომ მსგავსმა საკანონმდებლო აქტმა, შეიძლება ზიანი მიაყენოს აშშ-ის გიზნეს-ინტერესებს.

ნიკანდროსი, ნავთოგკომპანია „ფრონტერას“ დამფუძნეგელი, საქართველოში კარგად ცნოგილია: ის ჯერ კიდევ 1990-იანი წლეგიდან, კახეთში ნავთოგის მოვოვეგით იყო დაკავეგული და 2013 წელს პირადად შეხვდა გიძინა ივანიშვილს.

საქართველოს ელჩმა ვაშინგტონში **თამარ ტალიაშვილმა** განცხადებაში დაწერა, მიუხედავად იმისა, რომ **ნიკანდროსი** ნოვატორია, საქართველოს მთავრობას არ აქვს ლობისტური კავშირები შეერთებულ შტატებში. ტალიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობები გაუარესდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის **ჯო ბაიდენის** დროს, თუმცა ტრამპის მმართველობისას, ურთიერთობების გაუმჯობესების შანსი აქვთ. საერთაშორისო წყაროების ცნობით, მმართველი პარტია აშშ-ში გავლენის მოსაპოვებლად იყენებს სხვადასხვა არაფორმალურ არხს, რადგან ოფიციალურად დაქირავებულ ლობისტურ კომპანიას ვაშინგტონში მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზება არ შეუძლია. საქართველოს ხელისუფლების ეს სტრატეგია, რომელიც გავლენიან გიზნესწრეებთან არაფორმალურ კავშირებს ეყრდნობა, ფაქტია, ცხადყოფს მზაობას, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ვაშინგტონში, საკუთარი ინტერესების დასაცავად და ორმხრივი ურთიერთობების გასამყარებლად.

* * *

რა პერსპექტივა აქვს ახლა ამერიკასთან ურთიერთოგების დალაგებას, ამ კითხვაზე for.ge-თან ანალიტიკოსები საუგროგენ.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** მიიჩნევს, რომ ფაქტია, გიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ცდილობენ ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან და გავლენიან კონსერვატორ სენატორებთან ურთიერთობის დალაგებას. ამის ნათელი მაგალითი კი თამარ ტალიაშვილის სენატორთან შეხვედრაა.

„ფაქტია, მცდელობები არსებობს და ამან, გარკვეულწილად, შედეგიც გამოიღო. „მეგობარი აქტის“ ბედი ამ ეტაპზე დასრულებულად ითვლება, რადგან მისი მიღება არ მოხდა და ის ბერკეტები, რომელიც მმართველი გუნდის წინააღმდეგ, ამერიკიდან უნდა ამოქმედებულიყო, ამ ეტაპზე, არ ჩანს. რა თქმა უნდა, საერთაშორისო იზოლაცია არ არის სასიამოვნო და სასურველი. შესაბამისად, ივანიშვილი იყენებს ყველა შესაძლებლობას და იმ სანაცნობო წრეს, რომელიც შესაძლოა, ამერიკელ სენატორებთან ან კონგრესმენებთან კავშირში იყოს. ასეთი კაციც არსებობს და ეს უკვე არავისთვის აღარ არის უცნობი. ამაზე დასავლურ მედიაში აქტიურად იწერება კიდევაც. ვნახოთ, რას შეძლებენ. ფაქტია, მცდელობები არის და ხელისუფლება ამისთვის იმ გიზნესწრეებს იყენებს, რომლებიც საქართველოსთან ადრე იყვნენ დაკავშირებულები ან სამომავლოდ, როგორც ჩანს, ინტერესები აქვთ.

მე მაინც ვფიქრობ, რომ რთული იქნება ამ ეტაპზე ტრამპის ადმინისტრაციასთან გასვლა, რადგანაც, უკრაინის ომის ფონზე, საქართველოსთვის ჯერ არავის სცალია და მეორე – არიან ისეთი კონგრესმენები და სენატორები, რომლებიც საქართველოში არსებულ სიტუაციას კარგად იცნობენ, ასევე ივანიშვილსაც, მაგალითად, რიში და შაჰინი, რომლებიც მან ბოლო დროს გადაიმტერა“, – ამბობს **ჩიტაძე.**

* * *

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** კი მიიჩნევს, რომ ლობისტები ოპოზიციას ნამდვილად ჰყავს დაქირავებული და ეს არავისთვის არ არის უცნობი. თუმცა, ლობისტები არა, მაგრამ ხელისუფლების სასარგებლოდ, კონკრეტული ფინანსისტების ჯგუფი, მაგალითად, ებრაული წარმოშობის, საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, აქტიურად მუშაობენ. შესაბამისად, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

„ძალიან რთული საკითხია, შეძლებს თუ არა ხელისუფლება, თუნდაც ამერიკის მიერ, ბაიდენის დროს დადებული სანქციების მოხსნას. ეს არის ის კვანძი, რომლის გახსნაც ძალიან რთულია და ზუსტად არავინ იცის, რა მოხდება. თუმცა, ერთი ფაქტია, რომ პირადი ურთიერთობები და ნაცნობობა ნამდვილად ამართლებს და „ოცნებას“ ჰყავს კონკრეტული მხარდამჭერთა გუნდი ამერიკაში, რომლებიც ფინანსისტების ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ მუშაობა რომ აქტიურად მიდის ამ მიმართულებით, ამის დადასტურება შემიძლია.

ასევე, არსებობს კიდევ უკრაინის ომის ფაქტორი, რადგან ამ ეტაპზე, ტრამპისთვის მნიშვნელოვანი ამ ომის დასრულებაა. იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობს დაპირისპირება და 90-იანი წლების მსგავსი სროლა ქუჩებში, ამერიკა ამ ეტაპზე ყურადღების კონცენტრაციას ჩვენზე არ გადმოიტანს. თუმცა, არიან იქ პოლიტიკური ძალები, რომლებმაც კარგად იციან, რომ საქართველო კავკასიაში გასაღებია და ამ გასაღების დათმობას, არ მგონია, ვინმე აპირებდეს. უკრაინის ომის დასრულება უფრო მნიშვნელოვან კონტურებს გამოაჩენს“, – ამბობს **არეშიძე.**

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა



ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი მეცნიერი და მამულიშვილი

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე – 95

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი და ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ლორთქიფანიძე დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანიძისა და ქალბატონ პარასკევა ამაშუკელის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, მან ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მეცნიერული მომზადება საქართველოს ძველ ისტორიასა და არქეოლოგიაში მან ცნობილი ბიზანტინისტის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა.

ერთხანს ის ლენინგრადში იყო მივლენილი, სადაც მომზადება გააგრძელა იმ დროის თვალსაჩინო სპეციალისტების პროფესორების ქსენია კოლობოვასა და ვიქტორ გაიდუკევიჩის ხელმძღვანელობით. შთამბეჭდავი იყო მის მიერ გავლილი სამეცნიერო, საველე-არქეოლოგიური, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის გზა.

1957 წელს ოთარ ლორთქიფანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახ.წ. I-III საუკუნეებში“; 1960 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა; აქვე, 1966 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – **„ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო“,** ხოლო 1972 წელს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა; 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

მისი სამეცნიერო გზის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 1977 წლიდან, როდესაც მან ჩამოაყალიბა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელი იყო იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე. 70-იან წლებში ქართულ არქეოლოგიაში ბევრი ნიჭიერი და ამბიციური მეცნიერი მოღვაწეობდა, მაგრამ ბატონი ოთარი ყველას მიერ აღიარებული ლიდერი იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე. თავისი საოცარი ორგანიზატორული ნიჭით მან შექმნა კოლექტივი, რომელიც დიდი მიზნების შესასრულებლად იყო მზად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები საქართველოს არქეოლოგთა ყველა თაობის წვლილმა და დამსახურებამ განაპირობა.

ცენტრის თანამშრომელთა ძალისხმევა იმთავითვე აღინიშნა მნიშვნელოვანი აღმოჩენებით საქართველოს არქეოლოგიაში, რაც შემდგომ საზოგადოებრიობისათვის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო სტატიებისა და ფუნდამენტური მონოგრაფიების სახით იყო მიწოდებული. არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციები ახორციელებდნენ არქეოლოგიური ძეგლების საველე-არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აღმოჩენილი და შესწავლილია პალეოლითიდან – გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით მრავალი არქეოლოგიური ძეგლი: სამოსახლოები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია): 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები.

არ დარჩენილა ძველი საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არცერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეეხო, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქართული სახელმწიფოებრიობის და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა“ და „ელინისტური კულტურის“ დეფინიციის პრობლემები, „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წანამძღვარი, ძველი კოლხეთის ქრისტიანობამდელი რელიგია თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების (ძველი ქართული, ბერძნულ-რომაული, ძველ-აღმოსავლური) და ეპიგრაფიკული ძეგლების სკრუპულოზურ ანალიზზე. უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ის ნაშრომები, რომლებიც ნივთიერი კულტურის ცალკეულ ძეგლებს (სოხუმის სტელა, ვანის ბრინჯაოს ტორსი, გონიოსა და ახალგორის განძები, რომაული ტორევტიკის ნიმუშები ნიჩბისიდან, ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ვანიდან, კოლხური თეთრი, ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემა, ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა და ოქრომჭედლობა და მრავალი სხვა, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა) ეძღვნება. თითოეული მათგანი დახვეწილი შედარებით-ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის ნიმუშია.

ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი მეცნიერი და მამულიშვილი

ბატონი ოთარის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება ღრმა განსწავლულობა, უდიდესი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი, წერილობითი წყაროებისა თუ ნივთიერი ძეგლების სისტემური ანალიზის უზადო ტექნიკა, ფართო ისტორიული განზოგადების იშვიათი უნარი. ფრიად ნაყოფიერი იყო ბატონი ოთარის საგამომცემლო საქმიანობაც. მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებულები – „ვანი, არქეოლოგიური გათხრები“ (9 ტომი), „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“ (3 კრებული), შავიზღვისპირეთისა და იბერიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების მასალები (11 კრებული), საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული (2 ტომი), არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (17 კრებული), ჟურნალი „ძიებანი“ (10 ნომერი).

ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან მცხეთაში მიიღო, შემდეგ კი მონაწილეობდა ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე მირმეკიონისა და ილურატის (ყირიმი) გათხრებში. 1966 წლიდან კი მისი საველე-არქეოლოგიური საქმიანობა დაუკავშირდა ვანსა და მის სიძველეებს, რომელთა ბრწყინვალე აღმოჩენებმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ არქეოლოგიას.

ბატონ ოთარს უტყუარი ალღო ჰქონდა ახალი მეცნიერული ტენდენციების წინასწარ განსაზღვრისა, სიახლეზე სწრაფი რეაგირებისა და, რაც მთავარია, მას ჰქონდა მათი დანერგვის და ხორცშესხმის იშვიათი უნარი. იგი იყო ინიციატორი ჩვენს არქეოლოგიაში კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინარული მეთოდების დამკვიდრებისა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმ ურთულეს ხანაში, როდესაც ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება ჩვენში თითქმის პარალიზებული იყო, ოთარ ლორთქიფანიძემ შეიმუშავა ახალი სტრატეგია ცენტრის სამეცნიერო საქმიანობისა. ამ ახალი ტენდენციის წყალობით, არა მხოლოდ თვითონ ბატონ ოთარს, არამედ მთელ დაწესებულებას ერთი დღითაც კი არ შეუნელებია მუშაობის ჩვეული ტემპი. მის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად, ცენტრში გამოსაცემად მზადდებოდა საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ცნობარი, კლასიკური არქეოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი.

ბატონი ოთარი არაჩვეულებრივი ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო. მან დააარსა საქართველოში უდიდესი, მაღალ სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრიუკენში, შტუტგარტში, ბრაუნშვაიგში, ბონში და სხვ.), რომელთაც დიდი მოწონება და აღიარება ხვდათ წილად.

2002 წელს გერმანიის ქალაქ ბოხუმში მოწყობილ გამოფენას, სახელწოდებით „საქართველო: არქეოლოგიური განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, ისეთი დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ სამი თვით გაგრძელდა, ხოლო 2002 წლის დეკემბრიდან ქალაქ ვისბადენში გადაინაცვალა. ოთარ ლორთქიფანიძემვე ჩაუყარა საფუძველი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმს. სიმპოზიუმის მასალები სისტემატურად ქვეყნდებოდა. მათგან უკანასკნელი ხუთი საფრანგეთში დაიბეჭდა. მისი თაოსნობით მოეწყო აგრეთვე ორი საერთაშორისო კოლოკვიუმი კავკასიის იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ. 2002 წლის აპრილში არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „არქეოლოგია XXI საუკუნეში: მემკვიდრეობა და პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა ცენტრის დაარსებიდან 25 და საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების 150 წლისთავს. კონფერენციამ დასახა ახალ საუკუნეში საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

განუზომლად დიდია ოთარ ლორთქიფანიძის როლი ძლიერი ქართული არქეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში.

ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1957 წლიდან მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებს და კითხულობდა ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის კურსს. ლექციების ეს კურსი დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს „ანტიკური არქეოლოგია“. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. ბატონი ოთარის მოწაფეთა შორის შვიდი მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნების (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) აკადემიების, ასოციაციებისა და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს – კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან – იგი გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეფო საისტორიო აკადემიის წევრია. გარდა ამისა, ბატონი ოთარი იყო ინდოევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულატის, ქალაქ მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი.

ბატონი ოთარის მიერ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე წაკითხული მოხსენებები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ქართული არქეოლოგიის მონაპოვარს. მან პირველმა მოახერხა ჯერ კიდევ საბჭოეთის პირობებში, როდესაც ეს მეტად რთული იყო, საზღვრებს გარეთ გაეტანა ჩვენი მიღწევები და საერთაშორისო სამეცნიერო კონტექსტში ჩაერთო.

მამულიშვილობა, მაღალზნეობრიობა, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა, არაჩვეულებრივი გულისხმიერება და სიკეთე, სხარტი იუმორი ბატონ ოთარს განუმეორებელ ადამიანურ ხიბლს ანიჭებდა. იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ მეგობრების, მოწაფეებისა და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

მისი მოულოდნელი გარდაცვალება 2002 წლის 19 მაისს თავზარდამცემი იყო ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. მისი პიროვნების ხიბლი სამუდამოდ დარჩა ჩვენს გულებში, ხოლო მისი ღვაწლი – საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

სატანასთან თანამშრომლობა დამღუპველია!

ათეისტად გაზრდილი ადამიანისთვის ძნელი გასაგები და დასაჯერებელია სატანის არსებობა, ისევე როგორც ღმერთისა. ერთი მცირე განსხვავებაა მხოლოდ: გაჭირვებაში ჩავარდნილ ათეისტს მაინც უფლის იმედი აქვს და სხვადასხვა ფორმით, მათ შორის არაქრისტიანული ფორმით – მსხვერპლთშეწირვითაც გამოხატავს ამას. რატომ? იმიტომ, რომ ღმერთი სიკეთეა და სიკეთისადმი ყველას აქვს დადებითი მოქმედების მოლოდინი. აი, ამ ათეისტებს მინდა ვთხოვო, თუ შეუძლიათ ახსნან ის მოვლენები და იდეები, რითაც გაჟღენთილია ევროპელთა დიდი უმრავლესობის ტვინი და გული. ამ მოვლენების დანახვა და იდეების გააზრება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, ჰო, და ახსენით პოზიტიური მეცნიერებების საშუალებით რა მოვლენაა გენდერი, ანუ საკუთარი სქესის ინდივიდუალური აღქმა, ან ის იდეა, რომ მთავარია აღქმები და არა ფაქტები (ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის მცოდნისათვის ეს არის სრული სიგიჟე!) და სრულიად ნორმალურად, მეტიც, ყველაზე ნორმალურ ადამიანებად უნდა მიგვაჩნდეს ის კაცი, ვისაც თავი ქალი ჰგონია, ან ის, ვისაც სექსი უნდა მიცვალებულთან (ნეკროფილია), ან ცხოველთან (ზოოფილია), ანდა სულაც ხესთან (ეკოფილია)! აბა, ახსენით ეს პოზიტიური მეცნიერების საშუალებით! ვერ ახსნით!

ცნობილია, რომ სიმბოლიკათა უდიდეს ნაწილს საკრალური მნიშვნელობა აქვს. ამას საგჯოთა ათეისტები არ აღიარებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისეთ სახელმწიფო სიმბოლიკებს ქმნიდნენ, რომელთაც საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამ სიმბოლიკათა მიმართ ურყევ ერთგულებასა და თაყვანისცემას უნერგავდნენ ადამიანებს. ყოველ დროს და ყველა ქვეყანაში უდიდეს სახელმწიფოებრივ სიწმინდეს წარმოადგენდა დროშა. მასზე გამოსახული იყო (და არის!) ის, რაც ადამიანთა რწმენას უკავშირდება, რაც ძირითადად რელიგიურ მრწამსს გამოხატავს.

ომი იყო თუ ლაშქრობა, მედროშედ ყველაზე მამაც კაცს ირჩევდნენ, თუ მედროშე დაიჭრებოდა, მას დროშას გამოსტაცებდა სხვა რჩეული კაცი და აღმართავდა. დროშის ძირს დავარდნა უეჭველი დამარცხების ნიშანი იყო. მედროშეს ცალ მუხლზე დაჩოქილს გადასცემდნენ, რომელიც მის კალთას ეამბორებოდა და ისე ადგებოდა. დროშის წინ იფიცებდნენ, როგორც ხატთან და დროშისთვის თავსაც სწირავდნენ. სხვათა შორის, ასე იყო ათეისტურ საბჭოთა კავშირში: დროშაზე გამოსახული ნამგალი და ურო და ვარსკვლავი სიკეთის სიმბოლოდ მიიჩნეოდა და მისთვის თავგანწირვაც პატრიოტი კაცის უმაღლესი მოვალეობა იყო. დროშისთვის ერთგულება ბევრი საგმირო საქმის მიზეზიც გამხდარა და მოტივიც.

ახლა? ახლა ათასობით „ქართველ“ უცხოეთის აგენტსა და უსამშობლო „პატრიოტს“ საქართველოს სახელმწიფო დროშა უკანალზე აქვს შემოხვეული დაუსრულებელ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე თავისუფალი გინებისა და გამოხატვის სხვა ფორმების გამოყენებისას. რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი სახელმწიფოს უპირველეს სიმბოლოს ისე იქნევენ, როგორც კორიდაზე მატადორები იქნევენ წითელ ნაჭერს კორიდაზე გამოსული ბუღის გასაბრაზებლად! ეს არის მკრეხელობა, მაგრამ უცხოელი აგენტები ასე არ ფიქრობენ, რადგან მათ სამშობლო არ აქვთ. ვინც ამას უცქერს, ხელისუფლების მომხრეა, თუ სულაც ნეიტრალურ პოლიტიკურ პოზიციაზეა, მას რატომ არ აღელვებს ეს ფაქტი? ნამდვილ პატრიოტებსაც კი სულაც არ აღელვებთ, რაზე შემოიხვევენ ხუთჯვრიან დროშას აგენტები, თუ ხელისუფლების მომხრენი.

რატომ არ აღელვებთ სახელმწიფოს სიმბოლოს – ხუთჯვრიანი დროშის წაბილწვა, ან ერთ, ან მეორე მხარეს? პასუხი ძალიან მარტივია: ეს დროშა არც ქართულია და, მასზე დახატული ჯვრების მიუხედავად, არც ქრისტიანული, იგი ინგლისელი რაინდების მასონური დროშაა, რომლის ფრიალით გაძარცვეს იერუსალიმისა და მერე კონსტანტინოპოლის საეკლესიო საგანძური.

საქართველოს ყოფილმა ვაი-უი პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს იერუსალიმის რაინდთა მასონური დროშა ქალაქის მერიის თავზე სახელმწიფო დროშის გვერდით გამოფინა, როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშა და ეს არავინ გააპროტესტა, თვით მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც, არ ვიცი, არ იცოდა, მართლა ქართული დროშა ეგონა, თუ თვითონაც თანაუგრძობდა ამ სატანის მოციქულებს.

მეცნიერთაგან ერთადერთმა საჯაროდ, პრესაში თქვა სიმართლე, ეს იყო მარიკა ლორთქიფანიძე. სხვა ცნობილმა ისტორიკოსებმაც იცოდნენ და იციან ეს, მაგრამ სიმართლე არც უთქვამთ და არც ამბობენ. იქნება მარიკა ლორთქიფანიძის მწარე სიბერე აშინებთ: მას შვილიშვილი მოუკლეს, რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა სამგლე თუ სალომე ზურაბიშვილმა მარიკას შვილიშვილის მკვლელი შეიწყალა, რამაც გული გაუხეთქა იმ ბიჭის მამას, ცნობილ ისტორიკოსს გიორგი ოთხმეზურს!

დარწმუნებული ვარ, რომ ვიდრე იერუსალიმის მასონური(იგივე სატანისტური) დროშა საქართველოში ფრიალებს, სიმშვიდე ვერ დაისადგურებს ჩვენში. საქართველოს უნდა დაუბრუნდეს ქრისტიანული, თუნდაც დავით აღმაშენებლის დროშა და ერი სატანისტურ ძალებს გაანადგურებს!

* * *

ახლა ყველასთვის (ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანებს ვგულისხმობ) გასაგებ პროგლემას უნდა შევეხო. ეს ნორმალური სახელმწიფოსთვის პროგლემა არ არის, უბრალოდ, სისხლის სამართლის დანაშაულია, მისი აღკვეთა სამართალდამცავმა ორგანოებმა ქვეყნის ხელმძღვანელობის ჩარევის გარეშე უნდა შეძლონ.

მე სამართალმცოდნე ვარ, მაგრამ სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელებს ვეკითხები: ქუჩის სავალი ნაწილის გადაკეტვას და სატრანსპორტო მოძრაობის პარალიზებას, ან სახელმწიფო დაწესებულებათა ბლოკირებას სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აღარ მიიჩნევს? ან ხალხმრავალი მიტინგების გამართვა ქალაქის ნებისმიერ ადგილას დროის ხანგრძლივობის განუსაზღვრელად, ხელისუფლებისგან სანქცირების გარეშე, დასაშვებია? ქალაქის ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა, რაც თითქმის მთელი ქალაქის პარალიზების ტოლფასია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა??? დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ მაშინ დგება, როცა დამცავ ღობეებს ანგრევენ და ყველაფერს ამსხვრევენ და წვავენ, მათ შორის, არც პოლიციელებს ინდობენ? სად ხდება ეს? იქნებ იმ ევროპაში, რომლის განუყოფელ ნაწილად საქართველო მიაჩნიათ? არ არის ასე და, ყოვლისშემწყნარებლობა დემოკრატია არ არის, ანარქიაა და, რა შვება მოუტანა ხალხს ანარქიამ, ისტორიის სახელმძღვანელოებში მაინც წაიკითხეთ, ბატონებო. თქვენც ხომ არ დაიჯერეთ რუსი ანარქისტის მახნოს ლოზუნგი – **„ანარქია წესრიგის დედაა!“** რაც მახნომ დამართა სამხრეთ რუსეთს და რაც მერე ბოლშევიკებმა დამართეს მახნოს, თუ გაეცნობით ამას, იქნებ თქვენს პოზიციებს გადახედოთ.

„დემოკრატიის“ დედაქალაქ ლონდონში მიტინგით დაავადებულთათვის ერთი დიდი პარკია გამოყოფილი – „ჰაიდ პარკი“, აი, იქ ყველას შეუძლია მიიტანოს თავისი სკამი და თუნდაც ერთი მსმენელიც არ ჰყავდეს, იქადაგოს თავისი „გენიალური“ იდეები – აქაც შეიძლება, ქალაქგარეთ ცარიელი, უნაყოფო მიწის ნაკვეთი გამოეყოთ ჩვენს მიტინგით დაავადებულებს! არ არის ეს ურიგო რჩევა, არც ხელისუფლებისთვის და არც ენაგადმოგდებულ ჭკუადაკარგულებისთვის, თორემ ისე, უკვე გაუგებარია – ვინ ვინ არის!

ერთობ დასაგმობია, ჩემი აზრით, ზრდასრულ ადამიანებთან, სტუდენტებთან ენის მოჩლექით საუბარი, მაგალითად ასეთი ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდები გვყავს, ნიჭიერი სტუდენტები, საამაყო მომავალი თაობა, მაგრამ მისი ერთი ნაწილი აგენტების გავლენაში მოექცა და გულწრფელად სჯერათ მათი.

მიტინგებზე ბევრი გულანთებული ახალგაზრდაა და ჩვენი ვალია ქვეყნის მტრების ბინძურ პროპაგანდას გამოვტაცოთ ისინი. კი, ბატონო, ნამდვილად გვყავს ძალიან კარგი ახალგაზრდები, ნიჭირები და საქმიანები, მაგრამ არიან ისეთი სტუდენტებიც და მე-11, მე-12 კლასელებიც, რომლებსაც წიგნები წაუკითხავთ კი არა, მარტივი ტექსტიდან შინაარსის გამოტანაც არ შეუძლიათ.

სატანისტური გავლენები ყველაზე საშიშია განათლების სისტემაში. არაერთხელ შევახსენე ხელისუფლებას ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის მომავალი იჭედება განათლების სისტემაში, ე. ი. ხვალინდელი დღე იქნება ისეთი, როგორ თაობასაც დღეს განათლების სისტემა ზრდის! განათლების დღევანდელი საკადრო პოლიტიკა მოსაწონია? რა ხალხი მუშაობს უმაღლეს სასწავლებლებში? განსაკუთრებით „ილიაუნში“ (ვაი ჩვენს პატრონს!), ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში (მარტო „პროფესორ“ ჩიტაშვილის ხსენებაც კმარა!), გიული ალასანიას უნივერსიტეტში? ალასანიასაგან რადიკალურად განწყობილების პროფესორებს ვინმე გააჭაჭანებს იქ? არასახელმწიფოებრივ უთვალავ უნივერსიტეტებზე აღარაფერს ვამბობ. ერთ ხანს საქართველოში ასორმოცი (თუ ორასორმოცი) უნივერსიტეტი იყო. ისე, რომ საუნივერსიტეტო განათლება ისეთივე აუცილებელი (ანუ ხელმისაწვდომი) იყო, როგორც დაწყებითი განათლება (I-IV კლასები). ეს იყო ქვეყნის მოსახლეობის გამოთაყვანების მცდელობა, ანუ სატანისტური მიზანი, რაც დიდწილად განხორციელდა კიდეც.

იმდენი უნივერსიტეტია საქართველოში, რომ რაოდენობრივად ევროპის ქვეყნებს ბევრად უსწრებს!

ეს იყო სატანისტური იდეა, რომელიც წარმატებით განახორციელეს! დღეს საქართველოში სრულიად დევალვირებულია უმაღლესი განათლების დიპლომი, სატანამ ამჯერადაც იძალა, ჩვენივე თანამემამულეთა ხელით!

რატომ არ აღელვებთ სახელმწიფოს სიმბოლოს — ხუთჯვრიანი დროშის წაბილწვა, ან ერთი, ან მეორე მხარეს? პასუხი ძალიან მარტივია: ეს დროშა არც ქართულია და, მასზე დახატული ჯვრების მიუხედავად, არც ქრისტიანული, იგი ინგლისელი რაინდების მასონური დროშაა, რომლის ფრიალით გაძარცვეს იერუსალიმისა და მერე კონსტანტინოპოლის საეკლესიო საგანძური.

ჩვენმა ხელისუფლებამ ვერაფრით უარყო ის რიტორიკა, რომ ევროპაში გამეფებული სატანისტური განწყობილება კი არ არის (რაც არახალია), არამედ ევრობიუროკრატიის გონებრივი და მორალური დეგრადაცია, რაც არაადეკვატურ ქცევებსა და აზროვნებაშია გამოხატული. ისტორიას ცოდნა უნდა, ბატონებო, ცოდნა და არა თავშესაქცევად წაკითხვა. სატანის აჩრდილი ხშირად დაძრწოდა ევროპაში და ხშირად უბრუნებდა ტვინს ევროპელებს. ანდა რა სასახელოა საჯაროდ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ნატოს მიერ დაორგანიზებულ ომებში საქართველოს წარმომადგენლობა რაოდენობით ნატოს წევრ ბევრ ქვეყანას უსწრებს. ეს არც საამყოა და არც მოსაწონი, არ დაგავიწყდეთ, რომ **„სხვის ომში მხოლოდ სულელები იბრძვიან მამაცურად“** – ჭკვიანი კაცის ნათქვამია ეს!

სატანასთან, ან მასთან „გამიჯნურებულ“ ადამიანთან ზნეობაზე, წესრიგზე, განათლებაზე ან სხვის პატივისცემაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ან სახალხო გმირების პატივისცემაზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა მხოლოდ. ღვთის მადლითა და სახელით მოქმედ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ იმ ძალის გამოყენება ყველა ეშმაკეულ გამოვლინებასთან, რომელიც ქვეყნისა და ერის დასაცავად შექმნილ კანონებშია ასახული. ეშმაკთან (სატანასთან) ზავის მოსურნეებს არავითარი გასაქანი არ უნდა მიეცეთ არც ხელისუფლებაში და არც საზოგადოებაში. თავისუფლების ის გაგება, რასაც დღეს ლიბერალიზმს უწოდებენ, საბედისწეროა. „თავისუფლების“ ის ნორმები, რასაც ევროპასა და აშშ-ში ქადაგებენ, სწორედ სატანის ნარატივია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერ სოფელსა თუ ქალაქში, მთელ სახელმწიფოში მცოდნე და მაღალზნეობრივი ადამიანები რიცხობრივად ძალიან მცირე ნაწილია მთელი ხალხისა. ამიტომ, პრაქტიკულად, უმრავლესობა ყოველთვის არარაციონალურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს ჰქონდა მხედველობაში დიდ ილიას, როცა თქვა, რომ არჩევნებში ხმები კი არ უნდა დაითვალონ, არამედ უნდა აწონონო!

ერთი რამეც უნდა ვთქვა, რისი დიდი გამოცდილებაც აქვს ჩემსა და ჩემზე უფროს თაობას: კაცი, რომელიც მუშტის დარტყმით დაემუქრება და არ დაარტყამს, იგი აუცილებლად გაილახება! იმის ხშირი განმეორება, რომ ვინც კანონით დადგენილ აკრძალვებს არ შეასრულებს, იგი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება, ამ დროს ქალაქის ცენტრალურ პროსპექტს მაინც იკავებენ სატანისტების მიერ წაქეზებული საღ აზრს მოკლებული ადამიანები, რომლებმაც არც კი იციან, რას მოითხოვენ ამ პროტესტით და ეს მოქმედება ყოველ ჯერზე დაუსჯელი რჩება, პროტესტი უფრო გაფართოვდება და გააქტიურდება. კანონი მხოლოდ მუდმივმოქმედი მექანიზმია და ვინმეს სუბიექტური მოსაზრების მიხედვით მოქმედებს, ან არ მოქმედებს. ამ შემთხვევაში მოქმედება ან უმოქმედობა, იგივეა რაც ასეთი ალტერნატივა: ან ბოროტების მხარეს დგები, ან სიკეთის მხარეს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ისე როგორც, ადამიანს ჯიბეში ფული აქვს, ან არა! მესამე ალტერნატივა არ არსებობს!

ისე, ვურჩევ ჩვენს კანონმდებლებს, რომ გაეცნონ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, თუ, რა თქმა უნდა, დღემდე დაგროვილი ისტორიული გამოცდილების ცოდნა სასარგებლოდ მიაჩნიათ. კანონისადმი მორჩილება სახელმწიფოს ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა და ადამიანთა კანონიერი უფლებების დაცვისა და მოვალეობის შესრულების მყარი გარანტია. ამიტომ არის თითოეული ადამიანის თავსუფლების აუცილებელი პირობა სახელმწიფოს ფუნქციონირების მექანიზმის გამართულობა.

სატანის აჩრდილი დიდი ხანია, დაძრწის ევროპაშიო, – ჯერ კიდევ როდის თქვა კარლ მარქსმა, მაგრამ ამ აჩრდილს მან კომუნიზმის აჩრდილი დაარქვა, რომელიც სინამდვილეში, სწორედაც რომ სატანის აჩრდილი იყო. ახლა სატანა თავის ნამდვილი სახით კი არ დაძრწის, არამედ ტრიუმფით დაეუფლა ევროპასა და აშშ-ს. მისი ეშმაკუნები ჩვენშიც შემოიჭრნენ და შემეცნების უნარი წაართვეს მის ერთგულებს. ამიტომ ხიფათი დიდია.

მე მწამს, რომ უზენაესი არსთა გამრიგე საგოლოოდ ლახვარს ჩასცემს გორბაჩ ძალას და მის ერთგულთ უგოძებს უკვდავ სულსა და გონებას.

ამ ნიჰილიზმისა და სიცრუის ჭაობში ჩაფლულნი ამას ირწმუნებენ, მაგრამ მე ვუსურვებ, ყველას დაეძლიოთ სატანის ნარკოტიკული „სიამე“ და რეალობას დაგრუნდებოდნენ.

ზურაბ ცუცქირიძე,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.
ტელ. 555-56-75-37

1 წელი მაგთის 5G ქსელთან ერთად

მაგთიკომი
MAGTICOM



ახალი შესაძლებლობები, ციფრული გამოცდილება და საერთაშორისო აღიარება

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგებული მაგთის 5G ქსელი, მობილური ინტერნეტის სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

დღევანდელი ციფრული სამყაროს ეპოქაში ვერც ერთი პირადი თუ პროფესიული წამოწყება ინტერნეტკავშირის გარეშე ვერ განხორციელდება. ინტერნეტი დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება – ის ინოვაციის, განათლებისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სწორედ ამიტომ თანამედროვე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი გახდა მონაცემთა მყისიერი მიმოცვლა, ონლაინ სერვისებზე წვდომა და გლობალურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი, რის უზრუნველსაყოფადაც აუცილებელია სწრაფი, სტაბილური და საიმედო ინტერნეტი. კავშირის ხარისხი და სერვისის საიმედოობა კი მუდმივად საჭიროებს ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რაც მაგთიკომის უცვლელ პრიორიტეტად რჩება.

25 ოქტომბერს ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მაგთიმ საქართველოში 5G ქსელი აამოქმედა. მაგთიკომი განაგრძობს ქსელის გაფართოებას და ტრადიციულად ყველაზე ვრცელი დაფარვით გამოირჩევა. მაგთის უახლესი თაობის 5G ქსელი ხელმისაწვდომია თითქმის მთელს საქართველოში.

ტექნოლოგიურმა წინსვლამ არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე შექმნა ახალი შესაძლებლობები, არამედ საქართველოს საერთაშორისო აღიარებაც მოუტანა – 2025 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებით, მაგთის მობილური ქსელი ინტერნეტის სიჩქარით მსოფლიოში მე-6 ადგილზე დასახელდა. https://www.speedtest.net/awards/reports/2025/2025_World_Mobile_Q1Q2.pdf

მაგთის 5G ქსელის აბონენტებს საშუალება აქვთ, სრულფასოვნად გამოცადონ ამ ტექნოლოგიის უპირატესობები, მათ შორის:

გაზრდილი სიჩქარე – უზრუნველყოფს მაქსიმალურ სიჩქარეს, დაბალ დაყოვნებას და ქსელურ სტაბილურობას. მაგთის 5G ქსელის პიკური სიჩქარე (2000 მბ/წმ-მდე) იდეალურია დიდი ფაილების ატვირთვა-ჩამოტვირთვისთვის, ვიდეოსტრიმინგისა და ინტენსიური ონლაინ აქტივობებისთვის.

უზარმაზარი ტევადობა – 5G ტექნოლოგიას აქვს შესაძლებლობა, ერთდროულად მოემსახუროს 1 მილიონამდე მოწყობილობას 1 კმ^2-ზე – ეს 100-ჯერ მეტია, ვიდრე 4G-ს შეეძლო. შედეგად, ხალხმრავალ ადგილებშიც კი – კონცერტზე, ფესტივალსა თუ ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე, მაგთის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, მუდამ იყვნენ ონლაინ.

ყველაზე ფართო დაფარვის არეალი – მაგთიკომი მუდმივად ლიდერობს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მობილური ქსელის დაფარვის მხრივ. ეს ტენდენცია 5G ტექნოლოგიის შემთხვევაშიც გაგრძელდა და დღეს, მაგთის 5G ქსელი ხელმისაწვდომია თითქმის მთელს საქართველოში.

ქსელის განვითარება დინამიკური პროცესია. ახალი ურბანული ზონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვება მაგთის 5G ქსელის გაფართოების უწყვეტი პროცესი.

3 მილიონზე მეტი აბონენტისთვის მაგთიკომი ხარისხთან და საიმედოობასთან ასოცირდება.

დონალდ ტრამპი უკრაინის ერთადერთი იმედია...

ამერიკული ჟურნალი **The American Conservative,** სათაურით **„დონალდ ტრამპი – უკრაინის ერთადერთი იმედი მშვიდობისათვის“,** გეჭდავს ინტერვიუს უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან **პეტერ სიარტოსთან, რომელშიც უნგრელი მთავარი დიპლომატი საუბრობს აშშ-სთან და რუსეთთან ურთიერთობაზე, ევროკავშირის არასწორ პოლიტიკაზე, უნგრეთის დამოკიდებულებაზე პოლონეთთან ურთიერთობაზე და ა.შ.**

მინისტრს ესაუბრება პოლიტოლოგი **სუმანტრა მაინტა.**

გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებით:

The American Conservative

– გმადლობთ, რომ დათანხმდით ინტერვიუზე The American Conservative-სთან. როგორც ცნობილი გახდა, რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების მიერ ბუდაპეშტში დაგეგმილი სამიტი ჩაიშალა... როგორია თქვენი აზრი ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით?

– უპირველეს ყოვლისა, მე უნდა ვთქვა, რომ უკრაინაში მშვიდობის მიღწევის ერთადერთ იმედს მხოლოდ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი წარმოადგენს. თუ ამერიკის ხელისუფლებაში დემოკრატები დაბრუნდებიან, ისინი ყველგან კონფლიქტებს გააღვივებენ, მით უმეტეს აღმოსავლეთ ევროპაში. ჩვენ, უნგრეთი, – ევროკავშირი ყველაფრის ზედმეტად პოლიტიზებასა და იდეოლოგიზებას ახდენს, უბრალო საკითხებსაც კი. ბრიუსელი ყველაფერს ომის მზადებისათვის იყენებს. როგორც კი დონალდ ტრამპი აშშ-ის სათავეში მოვიდა და სამშვიდობო ძალისხმევა დაიწყო, ევროკავშირის ლიდერებმა მისი აშშ-ის პრეზიდენტის მშვიდობისმყოფლობისთვის ძირის გამოთხრა დაიწყეს.

ევროპელმა ხელმძღვანელებმა ყველაფრის – სასმელ-საჭმლის, ფულის, იარაღის, ჰუმანიტარული დახმარების უკრაინისათვის გაგზავნა დაიწყეს.

ერთი მხრივ, მშვიდობიანი მოსახლეობა სათვის, რასაკვირველია, ჰუმანიტარული დახმარება გასაგებია, მაგრამ ბრიუსელი ისე იქცევა, თითქოს უკრაინა-რუსეთის ომი მის ომს წარმოადგენს, ანუ თვლიან, რომ, თუ უკრაინა დამარცხდება, ეს ევროკავშირის მარცხია, ამიტომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს, რუსეთი კი უნდა დამარცხდეს.

მეორე მხრივ, რუსული ენერგორესურსების მოხმარების საკითხს ბრიუსელი გადაჭარბებულად პოლიტიზირებს. რაც უგუნურებაა. ტრადიციულად, ევროპისა და რუსეთის ურთიერთობის საკითხი გეოგრაფიულადაც გასაგებია, მაგრამ იმას, რასაც ევროკავშირის (დასავლეთ ევროპის) ლიდერები აკეთებენ, არანორმალურია. იმიტომ, რომ პოლიტიკით, განცხადებებით, პრესკონფერენციებით მოსახლეობას ვერ გაათბობ. ევროპას ენერგეტიკული რესურსები სჭირდება, ენერგორესურსების წყაროები კი ევროპისგან საკმაოდ შორს არის, ნავთობი და გაზი იქ უნდა იყიდო, სადაც ისინი მოიპოვება და სადაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს. ინფრასტრუქტურას და ენერგოპოლიტიკას გეოგრაფია განსაზღვრავს, ბრიუსელს კი ეს არ ესმის. ამრიგად, ევროპის კავშირისათვის ყველაზე დიდი საფრთხე გამოიხატება იმაში, რომ ბრიუსელში უღრანი ბიუროკრატები არიან მოკალათებულნი.

– თქვენ ღიად აცხადებთ რუსეთის ენერგორესურსების მხარდაჭერას. ასეთ კითხვას დაგისვამთ: თვლით თუ არა თქვენ, რომ დღეს, როცა ევროკავშირის ლიდერები ანტირუსულ კურსს აძლიერებენ, თქვენი პოზიციის შენარჩუნება და დაცვა ძნელია? განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ, უნგრეთი, ევროკავშირის წევრი ხართ...

– ჩვენი სტრატეგია მარტივია: ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური ნეიტრალიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვეცადოთ რაციონალური და ყოველდღიური საკითხების ზედმეტად პოლიტიზებას. რიგ მომენტებში ჩვენთვის უმთავრესია ეროვნული საკითხების პრიორიტეტი, ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის ერთგულება. ჩვენ ვიცავთ ურთიერთპატივისცემის პრინციპს. ჩვენ ევროკავშირის წევრი ვართ, მაგრამ არასოდეს არ ვერევით სხვა წევრების საშინაო საკითხებში. ჩვენ არავის არ ვეუბნებით და არ ვკარნახობთ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ, რა უნდა გააკეთონ, რა გადაწყვეტილებები მიიღონ.

პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ერთადერთი ევროპელი პოლიტიკოსია, რომელსაც შეუძლია პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა ყველა მსოფლიო ლიდერთან. იგი ერთადერთი ევროპელი პოლიტიკოსია, რომელსაც შეუძლია დონალდ ტრამპსაც ელაპარაკოს, ვლადიმერ პუტინსაც და სი ძინპინსაც. ბრიუსელელი ბიუროკრატი ხელმძღვანელები ცდილობენ საქმე ისე წარმოაჩინონ, რომ თითქოს უნგრეთი იზოლაციაშია მოქცეული. მათ არ სურთ, რომ აშშ-რუსეთის პრეზიდენტების სამშვიდობო სამიტი ჩვენთან, უნგრეთში იყოს გამართული. ევროკავშირმა თვითონ მოაქცია საკუთარი თავი იზოლაციაში. ევროპელი ლიბერალები და მათ მიერ კონტროლირებული ლიბერალური მასმედია წლების განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო დროს თავს ესხმიან დონალდ ტრამპს და მის დისკრედიტაციას ცდილობენ. ევროპელმა ლიბერალებმა თავი შორს დაიჭირეს ჩინეთისგან, პეკინს სისტემურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ, რაც დიდი სისულელეა. ევროპელმა ლიბერალ-ბიუროკრატებმა საკუთარი თავის იზოლირება მოახდინეს რუსეთისგან და მოსკოვს სანქციები დაუწესეს. იგივე გააკეთეს აფრიკის ქვეყნების მიმართ, რომელთაც თავიანთი ლიბერალური „ლგბტ“ იდეოლოგიის აღიარება მოსთხოვეს. კიდევ კარგი, პეკინი ბრიუსელის კარნახით არ მოქმედებს.

– თქვენ ამას წინათ საჯარო შეხლა-შემოხლა გქონდათ პოლონეთის ვიცე-პრემიერ რადოსლავ სიკორსკისთან...

– ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ არ მოვწონვარ სიკორსკის, როგორ... დიახ, მე მასთან მწვავე კამათი მქონდა.

– როგორც ჩანს, პოლონეთი სულ უფრო ანომალიური ქვეყანა ხდება ვიშეგრადის ჯგუფიდან, ხოლო ჩეხეთი და სლოვაკეთი უფრო მეტად თქვენი პოზიციებისკენ იხრებიან და ეთანხმებიან მსოფლიოსადმი თქვენებურ ხედვას. ხომ არ ნიშნავს ეს განხეთქილებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მემარჯვენე ქვეყნებს შორის?

– დიახ, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით დღევანდელი პოლონეთის ხელისუფლებისაგან. წინა მთავრობა (როცა მმართველ პარტიას კაჩინსკი ხელმძღვანელობდა) ჩვენი დიდი მოკავშირე იყო...

– მაგრამ პოლონეთის იმდროინდელი მთავრობაც მტრულად გამოდიოდა რუსეთის წინააღმდეგ...

– ჩვენ ყველა ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკას პატივისცემით ვუყურებთ, იმიტომ, რომ ჩვენ სხვადასხვა მდებარეობა გვაქვს სხვადასხვა ისტორია და წარსულის გამოცდილება. ჩვენ არასოდეს არ დაგვიგმია ვარშავის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ისინი პოლონურად ფიქრობენ, ჩვენ კი უნგრულად. მათ პოლიტიკურ კურსს მუდამ პატივს ვცემდით და ახლაც ასეა. ვიშეგრადის თანამშრომლობის ჯგუფის მიზანიც ეს არის, რომ ჩვენ ურთიერთქმედება გვაქვს სხვადასხვა საკითხებში, რომელთა მიმართ მსგავსი მიდგომები გაგვაჩნია. არის საკითხები, რომელთა მიმართ სხვადასხვა აზრი გვაქვს. რას ვიზამთ – ორ ადამიანს – ცოლ-ქმარსაც შორისაც არის ხოლმე სხვადასხვა თვალსაზრისი... ჩვენ კი ოთხნი ვართ. მე პირადად ჩვეულებრივად ვთვლი, რომ უკრაინის მიმართ სხვადასხვა პოზიცია გვაქვს, მაგრამ ამისათვის არავის არ ვაკრიტიკებთ... პოლონეთის ამჟამინდელმა მთავრობამ კი იდროვა და უკრაინის საკითხი ჩვენ წინააღმდეგ სპეციალურად გამოიყენა... სიკორსკიმ კრიტიკა დაგვიწყო... ჩემი აზრით, რადოსლავ სიკორსკი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიულად განწყობილი პოლიტიკოსია.... და რადგანაც მე მშვიდობის მომხრე ვარ, ის კი – ომისა, ჩვენი თვალსაზრისები განსხვავდება.

– თქვენი ეს ნათქვამი ინტერვიუში იქნება...

– დიახ, იმედი მაქვს, რომ იქნება. მე უკვე მივეჩვიე სიკორსკის პოზიციას. სანამ იგი ხელისუფლებაში იქნება და სანამ მე ჩემს თანამდებობას ვიკავებ, ჩვენ ყოველთვის გვექნება განსხვავებული აზრები გლობალური პოლიტიკის საკითხების მიმართ.

ომში ვერ ჩაგვაბეს, მიგრანტებს არ ვუშვებთ, „ლგბტ“-ორგანიზაციებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში შესვლის უფლებას არ ვაძლევთ, ანუ არც ომი, არც მიგრანტები და არც გენდერული სისულელე.

– თქვენი თვალსაზრისით, როგორია ყველაზე ცუდი სცენარი უნგრეთისათვის?

– ბრიუსელელ ლიბერალ ჩინოვნიკებს სურთ, რომ ევროკავშირი სახელმწიფოებრივ გაერთიანებად გადააქციონ, ერთგვარ ევროპის შეერთებულ შტატებად. ჩვენ ეს არ გვსურს.. ჩვენ გვინდა, რომ ევროკავშირი ცალკეული სუვერენული სახელმწიფოების ძლიერ გაერთიანებად იქცეს, რომლის დროსაც დაცული იქნება ეროვნული ქვეყნების ინტერესები. ბრიუსელი კი მუდმივად არღვევს ევროკავშირის შექმნის ხელშეკრულებას. მასში წერია, რომ გაფართოების საკითხში ერთსულოვნება აუცილებელია, ბრიუსელი კი ამას არად დაგიდევს.

ბრიუსელს სურს, რომ ჩვენ მივიღოთ დიდი რაოდენობის მიგრანტები. ბრიუსელს სურს, რომ ჩვენ „ლგბტ-საზოგადოებას“ უფლება მივცეთ თავიანთი საქმიანობა სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე გაავრცელონ. ევროჩინოვნიკებს უნგრეთისათვის სუვერენიტეტის წართმევა სურთ, მათ უნდათ, რომ ჩვენ ომში აღმოვჩნდეთ ჩაბმულნი. აი, რა არის დადებული სასწორზე. ჯერჯერობით ჩვენ წარმატებით ვიგერიებთ ზეწოლას: ომში ვერ ჩაგვაბეს, მიგრანტებს არ ვუშვებთ, „ლგბტ“-ორგანიზაციებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში შესვლის უფლებას არ ვაძლევთ, ანუ არც ომი, არც მიგრანტები და არც გენდერული სისულელე.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ უნგრეთში ეროვნული ხელისუფლება მარიონეტულმა მთავრობამ შეცვალოს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა ომში ჩაებმება, უნგრეთი მიგრანტებით გაივსება და „ლგბტ“-საზოგადოება გაფართოვდება. ბრიუსელი აქტიურად უჭერს მხარს უნგრულ ოპოზიციას. ბრიუსელმა კარგად იცის, რომ თუ ოპოზიცია უნგრეთის ხელისუფლებაში მოვა, ის ყველაფერს გააკეთებს, რასაც უბრძანებენ. ფსონები ნათელია: ან ეროვნული მთავრობა, ან მარიონეტული მთავრობა...



მოამზადა
სიმონ კილაძემ.

მასწავლებელი — ყველაზე ლამაზი, შინაარსიანი სიტყვა!

2025 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ 27 ოქტომბერს, მასწავლებლის ეროვნულ დღეს, მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

მინისტრთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა**, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** და პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა**.

მინისტრმა თითოეულ პედაგოგს მრავალწლიანი შრომისთვის, პროფესიისადმი ერთგულებისა და მომავალი თაობების აღზრდაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ მასწავლებლებზე, მათ შრომასა და თავდადებაზე დგას.

განათლების სისტემისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2025 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემია და ფულადი ჯილდო – 10 000 ლარი 10 პედაგოგს გადაეცა.

ესენი არიან: ჭიათურის მე-4 საჯარო სკოლის მასწავლებელი **ნანა ბურძენიძე;** ბოლნისის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი **თინათინ ფრუიძე;** ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მასწავლებელი **მაგდანა მათითაიშვილი;** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკის საჯარო სკოლის მასწავლებელი **კლარა ფოცხვერაშვილი**; წალენჯიხის მეორე საჯარო სკოლის მასწავლებელი **ციალა ჭანტურია**; თბილისის 37-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი **თამარ ჩხაიძე**; დუშეთის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი **ელენე პატაშური;** თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მასწავლებელი **ნელი გელაშვილი**; ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის მასწავლებელი **შორენა ყარალაშვილი;** დაბა შუახევის საჯარო სკოლის მასწავლებელი **თეიმურაზ დავითაძე.**

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მასწავლებლის ეროვნული დღე ყოველ წელს ქართველი პედაგოგის, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს აღინიშნება. **ამასთან, ყოველწლიურად ამ დღეს ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია – სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარი.**

მასწავლებლის ეროვნული დღისა და პრემიის დაწესება საზოგადოებაში პედაგოგების როლის ხაზგასმას და მათ დაფასებას ემსახურება.

წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ახალი ინიციატივით, მასწავლელთა შრომის აღიარების მიზნით აქტივოზები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა – თითოეულ მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე შეირჩა და დაჯილდოვდა ხუთი ღვაწლმოსილი მასწავლებელი, რომლებიც ასევე ესწრებოდნენ მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულთა დაჯილდოებას.

პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრები სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ

„დღეს პარლამენტის წევრები, პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ წევრები იმყოფებიან პლენარულ სხდომათა დარბაზში, სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ, რაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია.

ეს არის ის გაკვეთილი, რომელიც, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტს მრავალჯერ აქვს გავლილი. 2016 წელს იყო მცდელობა არჩევნების შედეგების არაღიარებისა, თუმცა ბოლოს მოუწია ყველას არჩევნების, ხალხის ნების აღიარება და პარლამენტში საქმიანობის შესრულება. 2020 წელს ვნახეთ მცდელობა, რომ არ ეღიარებინათ არჩევნების შედეგები. ერთი წელი დასჭირდა ზოგიერთს, ზოგს – ნახევარი წელი, რათა გაეაზრებინა, რომ ხალხის ნებას ვერ გაექცეოდა და ბოლოს შეუდგნენ სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას. 2024 წელსაც ჩვენ ვიხილეთ იგივე მცდელობა რეალობისთვის და ხალხის ნებისთვის თვალის არიდებისა.

მისასალმებელია, მართალია, დაგვიანებით, ერთ წლის თავზე, თუმცა ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, პარტიამ აღიარა ხალხის ნება, აღიარა დემოკრატია და შეუდგა სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას. სამწუხაროა, რომ ზოგიერთმა პარტიამ უკან დასახევი ხიდები დაიწვა და შეიძლება, დღეს ძალიან უნდოდეთ პარლამენტში ყოფნა, თუმცა ამის შესაძლებლობა თავად მოუსპეს საკუთარ ამომრჩეველს, რომ მათი ხმა გაუღერდეს პარლამენტში...“ – განაცხადა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სსივ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი დავით ტაგიძე დააკავეს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, აღნიშნულ საქმეზე ასევე დაკავებულები იყვნენ ფონდის პროგრამის მენეჯერი და ამავე სამსახურის პროექტის მენეჯერი, რომლებმაც სრულად ითანამშრომლეს გამოძიებასთან. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლოს მიერ გირაო შეეფარდათ.

„როგორც უკვე საზოგადოებისთვის ცნობილია, „მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ 30 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 9 365 801 ლარის თაღლითურად დაუფლებისა და 1 211 000 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულები არიან შპს „ლაგი კაპიტალის“ ხელმძღვანელი პირები.

გამოძიებით დადგენილია, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას, რომ შპს „ლაგი კაპიტალის“ მიერ 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის მაისამდე პერიოდში წარდგენილი ავანსის მოთხოვნები იყო დაუსაბუთებელი და მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფილი. დასახელებულმა პირებმა სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს და უპირატესობის მინიჭების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ 2023 წლის ივლისის თვეში მიღებული ავანსი არ იყო დახარჯული მიზნობრივად, 2023-2024 წლებში შპს „ლაგი კაპიტალზე“ საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის მაინც გასცეს 11 218 380 ლარის დაუსაბუთებელი ავანსი, საიდანაც შპს „ლაგი კაპიტალის“ ხელმძღვანელი პირები თაღლითურად დაეუფლნენ 9 365 801 ლარს.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით. საქმეზე გამოძიება ინტენსიურად გრძელდება დანაშაულში თანამონაწილე სხვა პირთა დადგენის და შესაბამისი რეაგირების მიზნით“, – განაცხადეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის სასტიკად დაისჯებიან!

ფორუმი ბათუმში

ბათუმში გაიმართა ევროპის მძლეოსნობის კონგრესი, რომელშიც 49 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონტინენტის მძლეოსნობის ხელმძღვანელებმა, მმართველი საბჭოს წევრებმა და დელეგატებმა იმსჯელეს სპორტული წლის მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე, მძლეოსნობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე, შეაჯამეს გაწეული საქმიანობა, შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა.

კონგრესის დასკვნით დღეს ჩატარდა გალა-დაჯილდოების ცერემონია – „Golden Tracks.“ შეკრებილ საზოგადოებას სხვებთან ერთად მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა.** მან ხაზი გაუსვა მძლეოსნობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას მსოფლიო სპორტში, მადლობა გადაუხადა ევროპის მძლეოსნობის მესვეურებს ქართველი კოლეგების მხარდაჭერისთვის და გამოთქვა მზადყოფნა, კიდევ უფრო აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციასთან.

გამოვლინდნენ ევროპის 2025 წლის საუკეთესო მძლეოსნები (ქალი და მამაკაცი), ასევე ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენები. წლის ლაურეატები გახდნენ და მთავარი პრიზები მიიღეს ნიდერლანდელმა მორბენალმა ქალმა **ფემკე ბოლმა** და შვედმა ჭოკით მხტომელმა **არმანდ დუპლანტისმა.** ორივე მათგანი მსოფლიო მძლეოსნობის ლიდერია – ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი. სპეციალური პრიზები მიიღეს მწვრთნელებმა, მსაჯებმა და ევროპული მძლეოსნობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. მწვრთნელთა შორის სხვებთან ერთად გამოარჩიეს **მარინე კოტრიკაძე** და **ზიგმუნდ ზილბერშტეინი,** რომელიც სეოკ-ის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

სტუმრების შეფასებით, საქართველომ, ბათუმმა ღირსეულად უმასპინძლა წარმომადგენლობით ფორუმს. ევროპული მძლეოსნობის ლიდერმა **დობრომირ კარამარინოვმა** კონგრესის დელეგატთა სახელით მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს გაწეული ნაყოფიერი საორგანიზაციო საქმიანობისთვის, განსაკუთრებით კი გამოყო საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, **ალექსი ახვლედიანის** მნიშვნელოვანი პირადი წვლილი ამ საქმეში.

დიდი პატივი

სომხეთის დედაქალაქმა ერევანმა ევროპის სროლის **კონფედერაციის გენერალურ ასამბლეას უმასპინძლა.**

ასამბლეაზე, რომელიც 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, გაიმართა ევროპის სროლის კონფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების და პრეზიდიუმის წევრების არჩევნები. პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს **ალექსანდრე რატნერი.**

აღსანიშნავი და სასიხარულოა, რომ ევროპის სროლის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ნდობა გამოუცხადეს და აირჩიეს სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, გინესის რეკორდსმენი **ნინო სალუქვაძე.**

მე-14 სიმაღლე

„ტენერიფეს“ კალათბურთელი გიორგი შერმადინი ლიგა ენდესას ოქტომბრის MVP გახდა.

გიორგიმ ეს ჯილდო კარიერაში მე-14-ედ მოიგო, რითაც თავისივე რეკორდი გაუაუმჯობესა. ოქტომბერში ქართველი ცენტრის საშუალო მარგი ქმედების კოეფიციენტი 27 იყო და უახლოეს მდევარ **ლუკა ბოჟიჩს** დამაჯერებლად აჯობა (22.5).

შერმადინმა ოქტომბერში ლიგა ენდესაში ოთხი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 18.5 ქულას და 7 მოხსნას აგროვებდა. მან „მანრესასთან“ 28 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი მიითვალა, „მორაბანკ ანდორასთან“ 18 ქულა და 9 მოხსნა, „მურსიასთან“ 13 ქულა და 4 მოხსნა, ხოლო „უნიკახასთან“ 15 ქულა და 8 მოხსნა.



„შავმა ლომმა“ სამხრეთაფრიკულ ტურნეზე Toyota Chellenge-ს ფარგლებში ადგილობრივ „ჩიტასთან“ მეორე მატჩი გამართა. ბლუმფონტეინის „ტოიოტა სთედიუმზე“ სტუმრები სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ამით ვერ ისარგებლეს და მასპინძლებმა 24:5 გაიმარჯვეს.

პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, რომელშიც „შავმა ლომმა“ 6 ლელო გაიტანა და 39:38 მოიგო, მეორე მწირქულიანი აღმოჩნდა. **რიჩარდ ქოქრილის** შეგირდები ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ეს ქულებში ვერ ასახეს და კონტრშეტევებზე ლელოები მიიღეს.

ვერარ გავილალეთ

საწყისი 25 წუთის განმავლობაში ‘შავი ლომი“ უტევდა, ჯარიმებს კარში არ ურტყამდა და ლელოზე თამაშობდა. **ლუკა ცირეკიძის** პასისა და **თორნიკე კახოიძის** გარღვევის შემდეგ ლელო გარდაუვალი ჩანდა, თუმცა მცველმა შეძლო შემტევისთვის ხელის გამოკვრა, კონტრშეტევას უკვე ‘ჩიტასის“ ლელო და გარდასახვა მოყვა და რადგან 33-ე წუთზე ცირეკიძემ ჯარიმა ვერ გაიტანა, ტაიმი 7:0 დასრულდა.

მეორე ტაიმიც ჩვენი შეტევებით დაიწყო, ჯარიმა რამდენჯერმე არ დავარტყით, 56-ე წუთზე 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ავაგორეთ და **შალვა მამუკაშვილმა** საპასუხო ლელო გაიტანა. 62-ე წუთზე მეტოქის ლელოში მოლით კიდევ ერთხელ შევედით, მაგრამ მამუკაშვილს ბურთი არ დაამიწებინეს.

გამოუყენებელი მომენტების შემდეგ 68-ე წუთზე კონტრშეტევაზე მეორე ლელო მივიღეთ, რამაც ხასიათი წაგვიხდინა, დასკვნით წუთებში კიდევ ორი ლელო გავუშვით და მასპინძლებმა 24:5 გაიმარჯვეს.

„შავი ლომის“ მოთამაშეთა ნაწილს ნოემბერში სანაკრებო შეხვედრები ელის, რის შემდეგაც გუნდი შეიკრიბება და დეკემბრიდან ჩელენჯ თასში ჩაერთვება.

განუმეორებელი ფინალი

სამოცდახუთი წლის წინათ, 1960 წლის 31 ოქტომბერს, მოსკოვში, ადგილობრივი დროით 18 საათზე, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, თოვლში, გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა.

ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“. მიმომხილველთა აზრით, ეს იყო ამ პრესტიჟული ტურნირის ისტორიაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ფინალური მატჩი, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მისი გახსენება. ამას შემეცნებითი მუხტი გააჩნია და ახალგაზრდობას შევახსენებთ, თუ „ვისი გორისანი ვართ“.

ნახევარფინალში ტორპედოელებმა ადვილად დაამარცხეს ოდესის სკა – 4:0, რასაც ვერ ვიტყვით თბილისელებზე. მათ ძალიან ძნელი გზის გავლა მოუხდათ. ნახევარფინალში მათი მეტოქე იყო დონეცკის „შახტიორი“. მატჩი გაიმართა 26 ოქტომბერს მოსკოვში. ძირითადმა დრომ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და უშედეგოდ დასრულდა. დაინიშნა დამატებითი დრო. მეათე წუთზე **ზაურ კალოევმა** გახსნა ანგარიში. თბილისელები დაწინაურდნენ – 1:0, მაგრამ მეთვრამეტე წუთზე დონეცკელთა თავდასხმის ლიდერმა **იური ანანჩენკომ** გაათანაბრა ანგარიში. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ბრძოლა ასე დასრულდებოდა და გუნდები მეორე დღეს კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მაშინ პენალტების სერია არ იყო, მაგრამ თბილისელთა მარცხენა გარემარბმა **მიხეილ მესხმა** უკანასკნელ წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა და დააწინაურა თბილისელები. 2:1 გაიმარჯვა „დინამომ“ და მეოთხედ მოიპოვა თასის ფინალში ასპარეზობის უფლება.

ფინალური შეხვედრა გაიმართა იქვე, მოსკოვში ლუჟნიკის სტადიონზე. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: **„ტორპედო“:** მეკარე^ ანატოლი პოლიკანოვი. მცველები: ანატოლი მედაკინი, ვიქტორ შუსტიკოვი, ლეონიდ ოსტროვსკი. ნახევარმცველები: ვალერი ვორონინი, ნიკოლოზ მანოშინი. თავდამსხმელები: სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, გენადი გუსაროვი, ბორის ბატანოვი, ოლეგ სერგეევი. მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი. **„დინამო“:** მეკარე სერგო კოტრიკაძე. მცველები: ბორის სიჭინავა, ედუარდ თორაძე, გივი ხოჭოლავა. ნახევარმცველები: ჯემალ ზეინკლიშვილი, გივი ჩოხელი. თავდამსხმელები: თენგიზ მელაშვილი, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი. მწვრთნელი ანდრო ჟორდანია. ეს მისი მეორე თასის ფინალი იყო, პირველი იყო 1946 წელს, როდესაც თბილისელები დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დამარცხდნენ მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში. ორივე გუნდი თამაშობდა დუბლ-ვეს სისტემით. 1+3+2+5. მოსკოველებს ეცვათ ლურჯი მაისურები, თეთრი ტრუსები და თეთრი გეტრები. თბილისელებს თეთრი მაისურები, ლურჯი ტრუსები, თეთრი კანტით, ლურჯი გეტრები. მოსკოველთა მხარეზე იყო მცირე უპირატესობა. მხედველობაში გვაქვს ორი გარემოება. ფაქტობრივად, თბილისელებს გასვლითი მატჩის თამაში უხდებოდათ. „ტორპედო“ მასპინძელი იყო. სამხრეთელებს, ტრავმის გამო აკლდათ გუნდის ლიდერი, გამობრძმედილი ვეტერანი **ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე.**

მიმომხილველთა აზრით, ეს იყო ყველაზე დრამატული და ლამაზი ფინალური მატჩი. მის ლაქად დარჩა კიეველი არბიტრის **ცაპოვეცკის** უაღრესად არაობიექტური მსაჯობა, რომელმაც მატჩის შედეგზე მოახდინა გავლენა. მათ მიაჩნიათ, რომ მოსკოველებმა ერთი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს.

ფინალური მატჩი მეტად უკომპრომისო ხასიათს ატარებდა. ანგარიში გახსნა მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა **გენადი გუსაროვმა.** „ტორპედო“ დაწინაურდა 1:0. თბილისელები ბედს არ ურიგდებიან და შეტევას აძლიერებენ. **თენგიზ მელაშვილის** ზუსტი გადაცემის შედეგად მოსკოველთა კარში ლამაზი საპასუხო გოლი გაიტანა **ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ**. ანგარიში გათანაბრდა – 1:1. აქვე დავძენთ, რომ მან ეს მატჩი ძალიან ძლიერად ჩაატარა. ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო, შესაძლოა, კარიერაში საუკეთესო. მან პირდაპირ შავი დღე აყარა მოსკოველთა ამომავალ ვარსკვლავს **ნიკოლაი მანოშინს.** ამის შემდეგ ტორპედოელები კვლავ წინ გადიან. მეორე გოლი თბილისელთა კარში კვლავ **გენადი გუსაროვმა** გაიტანა. მოსკოველები დაწინაურდნენ – 2:1. მიმომხილველები ეჭვობდნენ, რომ თამაშგარე მდგომარეობა იყო, მაგრამ **ცაპოვეცკის** ამაზე რეაქცია არ ჰქონია – გოლი ჩაითვალა. თბილისელები გულს არ იტეხენ და შეტევაზე გადადიან. მათმა ძალისხმევამ სათანადო შედეგი გამოიღო. თბილისელთა მთავარმა ბომბარდირმა **ზაურ კალოევმა** კვლავ გაათანაბრა ანგარიში 2:2. ახლა საქმეში ჩაერთო, თამაში თავის თავზე აიღო და თავისი სიტყვა თქვა მოსკოველთა ლიდერმა **ვალენტინ ივანოვმა.** სწორედ ის მოგვევლინა ამ მატჩის ნამდვილ გმირად. მან მესამედ გაიყვანა წინ თავისი გუნდი. ანგარიში გახდა 3:2. ტორპედოელთა სასარგებლოდ. თითქოს ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. თბილისელები დანებებას არ აპირებდნენ და სასურველ შედეგს მიაღწიეს კიდეც. მარჯვენა გარემარბმა **თენგიზ მელაშვილმა** უძლიერესი დარტყმით შეძლო მესამე გოლის გატანა და კიდევ ერთხელ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება – 3:3. ასე დასრულდა ძირითადი დრო. დაინიშნა დამატებითი დრო. დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. უკანასკნელმა წუთებმა უშედეგოთ ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ ანგარიში არ იცვლება. ფრე კვლავ ძალაშია. იწყება შეხვედრის უკანასკნელი წუთი. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ არც არაფერი შეიცვლება, მატჩი ასე ფრედ დამთავრდება და ხვალ შედგება დამატებითი მატჩი, მაგრამ მოხდა ის, რაც იყო დონეცკის „შახტიორთან“ ნახევარფინალურ შეხვედრაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გადამწყვეტი გოლი თბილისელთა კარში გაიტანა მოსკოვის „ტორპედოს“ მარჯვენა შუამარბმა **ვალენტინ ივანოვმა.** 4:3. გაიმარჯვა მოსკოვის „ტორპედომ“ და თავის ისტორიაში პირველად შეასრულა დუბლი – მოიგო ერთდროულად საბჭოთა კავშირის თასი და ჩემპიონობა. მან ამით დაასრულა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ტრიუმვირატის ჰეგემონია: „დინამო“, „სპარტაკი“, ცსკა, ეს სიახლე იყო იმ პერიოდის საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. ასე დასრულდა ეს საოცარი ფინალი. ვინ იცის, რა შედეგი იქნებოდა, რომ არა კიეველი არბიტრის **ცაპოვეცკის** მიკერძოებული მსაჯობა. შეიძლება ითქვას, რომ მან გაიფუჭა ეს ლამაზი ფინალი. თბილისელები იმედგაცრუებულები ტოვებდნენ ლუჟნიკის სტადიონის თოვლიან მინდორს.

ოთხი წლის შემდეგ, 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში თბილისელებმა შეძლეს ლამაზი რევანშის აღება, დაამარცხეს მოსკოველები ანგარიშით 4:1 და ისტორიაში პირველად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. სხვათა შორის, ამ მატჩში თამაშობდა თასის ფინალის 7 მონაწილე: თბილისელთაგან ესენი იყვნენ: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, შოთა იამანიძე, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. მოსკოველთა შორის იმ ფინალის ოთხი მონაწილე იყო: ვიქტორ შუსტიკოვი, ვალერი ვორონინი, ვალენტინ ივანოვი და ოლეგ სერგეევი. ტაშკენტის მატჩში, ტრავმის გამო, არ თამაშობდა ბორის ბატანოვი.

მერაბ კალანდაძე

სანთელი

ნინო გოგავას ბედისწერა

ჩვენ ერთად გავიზარდეთ, უფრო სწორად – აღვიზარდეთ. დიახ, იგი თაობის ლიდერად ჩამოყალიბდა და პროფესიონალიზმის სინონიმად გაიცნო საზოგადოებამ.

სათქმელად, იცოცხლეთ, ადვილია მეგობარი რეგალიების შესაბამისი ეპითეტებით შეამკო, მაგრამ, როცა იგი კომპლიმენტებს იმსახურებს, უკან არ უნდა დაიხიო და მას დამსახურებისამებრ მიუზღა.

სხვათათვის მაშინდელი „გეპეის“ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გამოწრთობილი ზურა გუდავაძე ერთ დროს ეროვნული ავიაინდუსტრიის გამორჩეული თავკაცი გახლდათ, მაგრამ ჩვენთვის, იმ ნეტარი ეპოქიდან ჯერაც შემორჩენილ ძმობილთათვის, იგი საიმედოობისა და ერთგულების სიმბოლოდ რჩება, როგორც მშობლიური ალმა მატერის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტი.

ამიტომაც გვეძვირფასება ჩვენი ზურა სამაგალითო მეოჯახის ამპლუაში და განსაკუთრებით გვტკივა მისი საფიცარი მეუღლის ულამაზესი დაიკოს, თსუ-ს თანამშრომლის, ისტორიკოს ნინო გოგავას ბედისწერა, რომელიც ულმობელმა სენმა ნაადრევად გვიქცია უკვდავების მინადრად.

გვწამს, რომ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ნინოს სახით ჩვენი კიდევ ერთი ღირსეული თანამედროვე გვაპკურებინებს ალალ ცრემლს და გვაიძულებს, დავიჯეროთ – უფალი მართლაც რჩეულთ მასპინძლობს.

ნათელი და სანთელი, დაუვიწყარო საყვარელო ქალბატონო!

დავით და მარინა გურგენიძეები,
გია პლატონიშვილი

სანთელი

ზურაბ ჩეკურიშვილი

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელის ზურაბ ჩეკურიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ბატონ ზურაბს ჯერ კიდევ კვების მრეწველობის სამინისტროში მუშაობიდან ვიცნობდი, ინტელიგენტი, განათლებული და ერუდირებული პიროვნება გახლდათ, რომელმაც საქართველოში ახალ სტრუქტურას – სურსათის უვნებლობის სამსახურს საკმაოდ ბევრი შესძინა თავისი მოღვაწეობით. ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს.

პურის მრეწველთა კავშირის სახელით,
კავშირის თავჯდომარე
მალხაზ დოლიძე.

კანონის უზენაესობის მსოფლიო რეიტინგში საქართველო რეგიონში პირველ ადგილზეა

World Justice Project-ის ანგარიშის მიხედვით, კანონის უზენაესობის მსოფლიო რეიტინგში, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა.

ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული **2025 წლის კანონის უზენაესობის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, საქართველოს 143 ქვეყანას შორის 52-ე ადგილზეა.** ანგარიშის მიხედვით, საქართველო გლობალურ რეიტინგში შარშანდელთან შედარებით ორი ადგილით ჩამოქვეითდა, თუმცა აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა.

საქართველოს მინიჭებული აქვს 0,58 ქულა. რეიტინგის ავტორების შეფასებით, საქართველო საშუალოზე მაღალი ჯგუფის ქვეყნებს შორის მოხვდა. ამ ჯგუფში ის მეექვსე ადგილს იკავებს. გლობალურ რეიტინგში საქართველოს ჩამორჩება ევროკავშირის წევრი მულგარეთი, უნგრეთი, ასევე ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები – მოლდოვა, უკრაინა, ალბანეთი, მონტენეგრო, სერბეთი და ბოსნია და ჰერცეგოვინა. რეიტინგში 105-ე ადგილზეა ბელარუსი, თურქეთი 118-ე პოზიციაზეა.

რეიტინგის შედგენა ხდება რვა ფაქტორის შეფასებით. **ესენია: მთავრობის ძალაუფლების შეკავება, კორუფციის არსებობა, ღია მმართველობა, ფუნდამენტური უფლებები, წესრიგი და უსაფრთხოება, რეგულირება, სამოქალაქო სამართლის სისტემა, სისხლის სამართლის სისტემა.**

2025 წლის რეიტინგის მიხედვით, სისხლის სამართლის სისტემის, რეგულირების აღსრულების, ღია მთავრობისა და კორუფციის არსებობის ფაქტორებში საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა.

ფაქტორებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება საქართველოს აქვს „წესრიგსა და უსაფრთხოებაში“ – 0,78 ქულა. ეს ფაქტორი აფასებს, რამდენად კარგად არის დაცული პიროვნებისა და ქონების უსაფრთხოება.

თაღლითებისგან მიყენებული ზარალი 3 მილიონამდე ლარს შეადგენს!

საქართველოს პროკურატურის თაღლითობის წინააღმდეგ გრძოლის სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, მოქალაქეთა კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე დაკავებულია 4 პირი, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ.

შესაბამის ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, გრალდებულთა ქმედებების შედეგად, მოქალაქეთათვის მიყენებული ზიანი 3 მილიონამდე ლარს შეადგენს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ტურისტული კომპანიის „სმაილ თრეველ ჯორჯია“-ს წარმომადგენლებმა, 2024-2025 წლებში, საზღვარგარეთ მოგზაურობის ორგანიზების დაპირებით, ფიზიკური პირებისგან მასიურად მოახდინეს დიდი ოდენობით თანხის მობილიზება და 200-მდე დაზარალებულის კუთვნილი, დაახლოებით 1 მილიონი ლარი მოტყუებით მიისაკუთრეს ისე, რომ აღებული ვალდებულება არ შეასრულეს.

თაღლითობის წინააღმდეგ გრძოლის სამმართველოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფთან ერთად გამოვლენილია კონკრეტული იურიდიული პირის 100% წილზე ქონებრივი უფლების მოტყუებით დაუფლების ფაქტი. გამოძიებით დადგენილია, რომ გრალდებული, „ზეკარის წყაროების“ წარმომადგენლებს, ფინანსური პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი წილების დათმობა მოითხოვა. ნდობის მოსაპოვებლად, გრალდებულმა, თავის მხრივ, სხვა დაზარალებულისაგან მოტყუებით დაუფლებული დიდი ოდენობით თანხიდან ნაწილობრივ დაფარა კომპანიის საბანკო დავალიანება და პარტნიორებს, 100%-იანი წილის გადაფორმება მოსთხოვა.

აღნიშნული ხერხით, გრალდებულმა კომპანიის 100 %-იანი წილი ოჯახის წევრზე გადააფორმა, თავად კი არც საწარმოს საკრედიტო ვალდებულებები დაფარა და ორგანიზაციის 100%-იან წილსაც მოტყუებით დაეუფლა. შედეგად, იურიდიული პირის მესაკუთრეებს 1 500 000 ლარზე მეტის, ხოლო კიდევ ერთ დაზარალებულ პირს 163 000 ლარამდე ქონებრივი ზიანი მიადგათ. ასევე, თაღლითობის წინააღმდეგ გრძოლის სამმართველოს მიერ კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით დადგინდა, რომ გრალდებულებმა, დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, დაზარალებულს გაუფორმეს ე.წ. მოჩვენებითი ხელშეკრულება „სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ.“ შეთანხმებისამებრ, დაზარალებულმა, კონკრეტული სამუშაოებისათვის განკუთვნილი 123 134 ლარი გრალდებულებს გადასცა. გრალდებულებმა არ შეასრულეს ფორმალურად ნაკისრი ვალდებულება და მითითებული დიდი ოდენობის თანხა მიისაკუთრეს. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე დაკავებულ პირებს გრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის განცხადების საფუძველზე, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

საქართველოს პროკურატურამ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, დავით გურგენიძის განცხადების საფუძველზე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისების და გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

პროკურატურას ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განცხადებით მიმართა, სადაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობასა და მფლობელობაში არსებული, თბილისში, კოსტავას ქუჩა N77-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებისა და სპორტული მოედნების) შპს „საქართველოს უნივერსიტეტზე“ უკანონო პრივატიზების ფაქტებზე მიუთითებდა.

„საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ გრძოლის დეპარტამენტში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 24 ოქტომბერს დაიწყო. გამოძიების მიმდინარეობის და შესაბამისი სამართლებრივი შეფასებების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას პერიოდულად მივაწვდით“, – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის განცხადებაში.

ბათუმის პორტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ამოიღეს!

ბათუმის პორტის ტერიტორიაზე შემოსული სატვირთო ავტომობილიდან ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება – 1 კილოგრამი და 167 გრამი „პოკაინი“, 2 000 აბზე მეტი „მდმა“, 2 კილოგრამი „მდმას“ კრისტალები, 2 კილოგრამამდე „კლეფედრონი“, 1 კილოგრამი „კეტამინი“ და ნარკოტიკული საშუალება „ლსდ“-ს (ელ ეს დე) შემცველი მუყაოს ფირფიტები. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ სატვირთო ავტომობილი, სასაზღვრო გამშვები პუნქტის „ბათუმის პორტის“ ტერიტორიაზე ბულგარეთის რესპუბლიკიდან შემოვიდა. განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებები სამართალდამცველებმა სპეციალური სკანერის საშუალებით, სატვირთოს მისაბმელის შემოწმების შედეგად, ცეცხლმაქრში აღმოაჩინეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 262-ე და 263-ე მუხლებით მიმდინარეობს. აქვე, გვსურს, საზოგადოებას შევახსენოთ, რომ სამართალდამცველების მიერ ბოლო 4 თვის განმავლობაში, გამოვლენილ და აღკვეთილი იქნა ტრანსნაციონალური ნარკოდანაშაულის რამდენიმე ფაქტი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით დაკავებულია რამდენიმე პირი და ამოღებულია 750 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

თბილისში ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა



თბილისში ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის, ლოტბარის, მომღერლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა. დაფა კრწანისის რაიონში, აბანოს ქუჩა N23-ში მდებარე იხსნა. საცხოვრებელ სახლზე განთავსდა, სადაც ანზორ ერქომაიშვილი 1988-2021 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მემორიალური დაფა თბილისის ვიცე-მერმა **გიორგი ტყემალაძემ** პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან და კულტურის მინისტრ **თინათინ რუხაძესთან** ერთად გახსნა.

„დღეს ჩვენთვის გამორჩეული, მადლიერების გამოხატვის დღეა. შეუფასებელია ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი და დამსახურება ჩვენი კულტურისა და ქვეყნის წინაშე. შეუძლებელია, ჩვენ სათანადო პატივი მივაგოთ მას, თუმცა ბედნიერებაა, რომ შესაძლებლობა გვაქვს, მცირედი მაინც გავაკეთოთ. ჩვენ ვიღებთ იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკავშირდება მისი სახელის უკვდავყოფას. ჩემი თითოეული კოლეგა ამ ყველაფერს დიდი სიყვარულითა და პატივით აკეთებს. გარკვეული პერიოდის წინ თბილისში ერთ-ერთ ისტორიულ ქუჩას მივანიჭეთ ანზორ ერქომაიშვილის სახელი. ასევე, ჩვენს ქალაქში არსებობს ბატონი ანზორის სახელობის სკვერი. მინდა, ქედი მოვიხარო მის წინაშე, მადლობა გადავუხადო ყველას, განსაკუთრებით მის მეუღლეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ანზორ ერქომაიშვილს მისი შემოქმედებისთვის“, – განაცხადა **გიორგი ტყემალაძემ.**

მემორიალური დაფის გახსნის ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე ანდრია გასილაია, პარლამენტისა და საკრებულოს, ასევე, ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრები და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ცნობილი ქართველი ლოტბარი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, მიღებული აქვს გრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, ასევე, ივანე ჯავახიშვილის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, იაკობ გოგებაშვილისა და ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემიები.

ეკატერინე ბუაჩიძე საერთაშორისო კონკურს „ოპერალიას“ გამარჯვებულია

გულგარეთის დედაქალაქ სოფიაში პლასიდო დომინგოს მიერ დაფუძნებულ საოპერო მომღერალთა საერთაშორისო კონკურსზე „ოპერალია“/ **OPERALIA ეკატერინე ბუაჩიძემ გაიმარჯვა.**

ინფორმაციას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ავრცელებს.

პირველი პრემიის გარდა მან მიიღო შემდეგი პრიზები:

The Pepita Embil Prize – Zarzuela-ს კატეგორიაში;

Rolex Prize of the Audience – აუდიტორიის პრიზი.

„კონსერვატორიის სახელით ვულოცავთ კატოს ამ უდიდეს წარმატებას! ვუსურვებთ მსოფლიოს უდიდესი საოპერო სცენების დაპყრობას! ასევე ვულოცავთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მის პედაგოგს, ქალბატონ დოდო დიასამიძეს“! – წერია ინფორმაციაში.



იაკობ გოგებაშვილის იუბილე – ვარიანში

გორის მერიის ინფორმაციით, ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

„სოფლის ცენტრში საჯარო სკოლების მიერ თემატური კუთხეები მოეწყო, მოსწავლეების მონაწილეობით კი კონცერტი გაიმართა.

„დედა ენის“ ავტორი, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი ვარიანში 1840 წელს დაიბადა.

ღონისძიებები გორის მერიის მხარდაჭერით, ა(ა)იპ კულტურისა განვითარების ხელშეწყობის საagენტოსა და გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა“.

შიდა ტურიზმის სტიმულირების კამპანიამ „გამომყევი აჭარაში“ სოციალურ ქსელებში უპრეცედენტო რაოდენობის, 500 მილიონამდე წვდომა დააგროვა. კამპანიის გამარჯვებულები გათუმში გამართული დაჯილდოების ღონისძიებაზე გამოვლინდნენ. პირველი ადგილი კონტენტ-კრეატორმა ვიქტორია მელნიჩუკმა აიღო.

„გამომყევი აჭარაში“ და... გაიმარჯვე!

მის მიერ აჭარაში მოგზაურობისას გამოქვეყნებული კონტენტის წვდომამ 200 მილიონს გადააჭარბა. მეორე ადგილზე კონტენტ-კრეატორი ამირან ზარქუა გავიდა, რომლის მიერ გამოქვეყნებულმა კონტენტმა სოციალურ ქსელებში 70 მილიონამდე წვდომა დააგროვა. მესამე ადგილი – მოგზაურმა ფოტოგრაფმა **ზურა გელაშვილმა** (47 627 267 წვდომა), ხოლო მეოთხე ადგილი ფოტოგრაფმა **დავით ოქროპირაშვილმა** (38 256 846 წვდომა) დაიკავეს.

საკუთარი რჩეულები გამოავლინეს და სპეციალური საჩუქრები გადასცეს მონაწილე ინფლუენსერებს სასტუმროებმა „კასტელო მარე“, „ქორთიარდ მერიოტი“, „ჰოუმი“, „მონარქი“, „ვაიო რეზორტი“ და კომპანიებმა „აჭარა ტური“, „Royal Travel“, „ამბასადორი აილენდ ბათუმი“, „ტურ ინვესტი“, „ნოვა“, „ლიდერჰაბი“. მათი რჩეულები კონტენტ-კრეატორები ლუკა ზარქუა, ხვიჩა ასამბაძე, ირმა ირემაძე, ჯაბა გოგიტიძე, ვიქტორია მელნიჩუკი გახდნენ. აჭარის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კამპანიის მონაწილეებს მადლობის სიგელები გადასცა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ.

კამპანია „გამომყევი აჭარაში“ რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით 2023 წლიდან ტარდება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგვეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

**ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
31 ოქტომბერს**